

თერაპის ეროვნული ცენტრი

გიორგი ნიკოლაშვილი

გელის იმემიური დაავალების პლინიკურ-ბიოლოგიური
და მკურნალობის გრგიერთი ასპექტი თანხელები
ინფექციის დროს

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო სარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ი რ ტ ა ც ი ა

14.00.06 – კარდიოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
გაგაურიძე ნონა
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

თბილისი
2006

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	3
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	
1.1. გიდ და ინფექციის ეპიდემიოლოგია.....	8
1.2 ინფექციისა და ათეროსკლეროზის ურთიერთკავშირი-----	12
1.3 ცხიმოვანი ცვლა ინფექციის დროს.....	19
1.4 С-რეაქტიული ცილა.....	24
1.5 ფიბრინოგენი -----	28
1.6. ერითროციტების დალექვის სიჩქარე	33
1.7 ლეიკოციტური რგოლი, ინფექციის ზემოქმედება იმუნიტეტზე-----	39
1.8 ინფექციის მკურნალობის გავლენა გიდ მიმდინარეობაზე-----	42
თავი II. გამოკვლევის მასალა და მეთოდები	46
2.1 კლინიკური მასალის დახასიათება	46
2.2 კლინიკური კვლევის მეთოდების დახასიათება-----	50
2.3 ბიოქიმიური კვლევის მეთოდები-----	50
2.3 კვლევის იმუნოფერმენტული მეთოდების დახასიათება-----	51
2.5. სტატისტიკური ანალიზი-----	52
თავი III. მიღებული შედეგები-----	53
თავი IV მიღებული შედეგების განხილვა დასკვნები	68
ლიტერატურის საძიებელი	85
ლიტერატურის საძიებელი	87

1. შესავალი

ეპიდემიური მონაცემების მიხედვით აშშ-ში და დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში მოზრდილი მოსახლეობის სიკვდილობის 50%-ს ათეროსკლეროზი და მისი გართულებები იწვევს (McMillan G. 1995; Ross R. 1993). ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით 2020 წლისთვის მთელს მსოფლიოში ათეროსკლეროზი სიკვდილობისა და ინგალიდობის ერთ-ერთი წამყვანი მიზეზი იქნება (Breslow J.L. 1997)

ათეროსკლეროზის ფონზე აღმოცენებული გულსისხლძარღვთა დაავადებები მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2005 წლის მონაცემებით გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისაგან ყოველწლიურად იღუპება 17 მილიონი ადამიანი. სამწუხაროდ აღინიშნება ამ ციფრის ზრდის ტენდენცია. იგი წარმოადგენს შრომის უნარის დაკარგვისა და ინგალიდობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს.

ეს პრობლემა აქტუალურია საქართველოსთვისაც, რადგან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული განყოფილების მონაცემებით (2001) საქართველოში გიდ გამოწვეული სიკვდილიანობა შეადგენს 303 (100000 მოსახლეზე), რაც

საშუალო ევროპულ დონესთან შედარებით (223 - 100000 მოსახლეზე) საკმაოდ მაღალია.

უკანასკნელ წლებში აღინიშნება კარდიოგასკულურ დაგადებათა პროგრესირებადი “გაახალგაზრდავება” და მათი რიცხვის განუწყვეტელი ზრდა: სისხლძარღვთა ათეროსკლეროზული ცვლილებები და გულის ოშემიური დაავადება (გიდ) უფრო ხშირად ახალგაზრდებში (35-40 წლამდე) გვხდება, რაც ყველაზე უფრო შრომისუნარიან ასაკში ნააღრევი ინგალიფობის და უეცარი სიკვდილის მიზეზია.

ათეროსკლეროზის პათოგენეზისა და მისი მკურნალობის საკითხის გარკვევას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, მიუხედავად ამისა ბევრი საკითხი კვლავაც დიად რჩება. (6. ყიფშიძე, 6. კაკაურიძე, ი. ჭუმბურიძე 1967, ი. მეგრელაძე 1994; 6. ემუხვარი 1994; 6. ტატიშვილი, გ. ცინცაძე 1975; D. Blattie et al., 1998; T. Oliver et al., 1998; F. Dressler et al., 1998; A. Oshima et al., 1998; L. Sloop, 1998; A. Silon et al., 1998; A. Hautman et al., 1999; H. kastrama et al., 1999; L. Bonin et al., 1999; C.M. Tribouilloy et al., 2000; W. C. Tsai et al., 2000; K. Oishi et al., 2000; J.M. Floody).

ცნობილია, რომ ათეროსკლეროზი მულტიფაქტორული დაავადებაა, რომლის პათოგენეზში კლასიკური რისკ-ფაქტორების გარდა (სქესი, ასაკი, თამბაქო, დისლიპიდემია, დიაბეტი)

ჩართულია ქრონიკული ინფექციაც, როგორც ერთ-ერთი რისკ-ფაქტორი. მრავალმა ეპიდემიურმა კვლევამ დაადასტურა კავშირი ათეროსკლეროზს, ქრონიკულ ინფექციასა და ანთებით მდგომარეობებს შორის. ამ ინფექციებს შორის მნიშვნელოვანია *Chlamydia pneumoniae* (*Cp*), *Helicobacter pylori* (*Hp*), *Herpes simplex*, ციტომეგალოვირუსი და აშ.

მრავალი კვლევით დამტკიცებულია, რომ ინფექცია ასოცირებულია ანთებითი მარკერების მომატებასთან, მათ შორის **C-რეაქტიულ ცილასთან** (CRP), პროკოაგულანტებთან (ფიბრინოგენი (ფბ), პლაზმინოგენის აქტივატორის ინჰიბიტორი-1, პროსტაკლინი, ფაქტორი VII), ციტოკინებთან (ინტერლეიკინ (ილ) -6, ილ-8, სიმსიგნის ნეკროზის ფაქტორ-ა) (Fryer et al., 1997; Dechend et al., 1999), ქემოკინებთან (მონოციტების ქემოტაქტიკური პროტეინი-1), ბირთვულ ფაქტორ კაპა-B და უჯრედული ადჰეზიის მოლეკულებთან (უჯრედული და გასკულური ადჰეზიის მოლეკულები-1 (VCAM-1 ICAM-1)) (Miller et al., 2000; Netea et al., 2000), ეს ფაქტორები ხელს უწყობენ ფოლაქის დესტაბილიზაციასა, რუპტურას და გიდ გამწვავებას. აგრეთვე, ინფექცია იწვევს ენდოთელიუმის დისფუნქციას, რომელიც წამყვანი ფაქტორია ათეროსკლეროზის პათოგენეზი. გარდა ანთებითი მედიატორების მომატებისა პლაზმაში და ადჰეზიური

მოლეკულების გაზრდისა ანთების ლოკუსში, ინფექცია იწვევს დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტეროლის (დსლქ) ოქსიდაციას. როგორც ცნობილია ნატიური დსლქ-ით მაკროფაგების ინკუბაცია არ იწვევს ქაფიანი უჯრედების წარმოქმნას, რაც ასე დამახასიათებელია ათეროსკლეროზული ფოლაქისათვის. მაშინ როცა დსლქ-ის ოქსიდაციის დროს მაკროფაგის მიერ ხდება ქოლესტეროლის (ქს) აკუმულაცია და შედეგად ქაფიანი უჯრედების წარმოქმნა (Kalayoglu at all 2000).

ზემოთხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, გიდ პრევენციისა და მკურნალობისთვის მნიშვნელოვანია ანტიმიკრობული მკურნალობა. ცნობილია, რომ ქლამიდიის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკების მიღება ამცირებს არასასურველი კარდიოვასკულური შემთხვევების რისკს გიდ-ის მქონე ჰაციენტებში (Gupta S. at all 1997; Gurfinkel at all 1997).

ამასთან ანტიბიოტიკოთერაპიასთან ერთად სტატინებით მკურნალობა ამცირებს ანთებითი მედიატორების კონცენტრაციას, რაც გულ-სისხლძარღვთა არასასურველი გართულებების შემცირებას იწვევს. სხვადასხვა კვლევათა შედეგები ურთიერთგამომრიცხავია, სწორედ ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ შეგვესწავლა სტატინებისა და ანტიმიკრობული პრეპარატებით ერთდროული მკურნალობის ეფექტი დინამიკაში.

ნაშრომის მიზანია:

1. *Helicobacter Pylori* და *Chlamydia Pneumoniae* ინფექციის
არსებობისას ლიპიდური სპექტრისა და ანთების მწვავე ფაზის
ცილების შესწავლა გიდ პაციენტებში და მათ შორის
ურთიერთკავშირის დადგენა.
2. აღნიშნულ კონტინგენტში ერადიკაციული თერაპიისა და
სტატინების ეფექტების დადგენა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- ინფექციის იდენტიფიკაცია გიდ-ის მქონე პაციენტებში.
- მოცემულ კონტინგენტში კლინიკურ-ლაბორატორიული
გამოკვლევების ჩატარება;
- ლიპიდური ცვლისა და ანთების მარკერების (CRP, ფბ, ედს)
განსაზღვრა.
- სტატინებისა და ერადიკაციული საშუალებების გავლენის
დადგენა, ლიპიდური ცვლისა და ანთების პარამეტრების
შესწავლა მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ.
- მიღებული შედეგების დიაგნოსტიკური და პროგნოზული
ინფორმატიულობის შეფასება;

I. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 გიდ და ინფექციის ეპიდემიოლოგია

გულ-სისხლძარღვთა სისტემის მრავალრიცხოვან დაავადებათა შორის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზსა და გულის იშემიურ დაავადებას ერთ-ერთი წამყანი ადგილი უჭირავს და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო [171] და რეგიონალური ორგანიზაციების მონაცემებით [123] ავადობისა და სიკვდილობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს როგორც ეპონომიკურად განვითარებულ ასევე განვითარებად ქვეყნებში.

ამერიკის გულის ასოციაციის 2005 წლის მონაცემების მიხედვით ამერიკაში მთელი მოსახლეობის 6.9% (13 000 000) დაავადებულია გულის კორონარული დაავადებით, 3.5% (7 100 000) მიოკარდიუმის ინფარქტით, კარდიოვასკულური დაავადებით 2002 წელს გარდაიცვალა 494 282, მიოკარდიუმის ინფარქტით 179 514 ადამიანი. ხოლო ამ დაავადებით გამოწვეულმა მატერიალურმა ზარალმა შეადგინა 142.1 მილიარდი დოლარი [56].

ამასთან საყურადღებოა, რომ XX საუკუნის 80-იანი წლებიდან აღინიშნება გულ-სისხლძარღვთა დაავადებით სიკვდილობის მატება ქალებში, ხოლო მამაკაცებში შემცირება. ასე მაგალითად, 1998 წელს გერმანიაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებით სიკვდილობამ ქალებში 94700 (225,3-100000

მოსახლეზე), ხოლო მამაკაცებში 84015 (210,1-100 000 მოსახლეზე)

შეადგინა [39]

ათეროსკლეროზის გამომწვევა რისკ-ფაქტორებთან ერთად, როგორიცაა დისლიპიდემია, არტერიული ჰიპერტენზია, თამბაქოს მოხმარება, ჭარბი წონა, შაქრიანი დიაბეტი, გენეტიკური წინასწარგანწყობა, სქესი, ასაკი და ა.შ. უკანასკნელი ეპიდემიოლოგიური კვლევების მიხედვით მნიშვნელოვანია ინფექციური აგენტების როლი, რომელთა შორის **Hp** [108, 129, 12, 169, 130, 121, 103, 118, 157, 2] და **Cp** [26, 72, 93, 28, 143, 144, 145, 94, 159, 144]. ერთ-ერთი უპირატესი ადგილი უკავია.

Hp მიკროაეროფილური S-ისებრი ან სპირალური ფორმის გრამუარყოფითი ბაქტერიაა. ეს მიკრობი მიჩნეულია ქრონიკული გასტრიტის, წყლულოვანი დაავადების და კუჭის კიბოს ძირითად ეთიო-პათოგენეზურ ფაქტორად [179].

მრავალრიცხოვანი ეპიდემიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ **Hp** ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინფექციაა დედამიწაზე. Valle და თანაავტორების მონაცემებით **Hp** ით ინფიცირებულია 1,5-2 მლრდ ადამიანი [161], Feldman-ის მონაცემებით კი მსოფლიოს მოსახლეობის 50% ინფიცირებულია ამ მიკროორგანიზმით [41]. ადამიანთა უმეტესობა ინფიცირდება ახალგაზრდა (დაახლოებით 20 წლის) ასაკში, მაშინ როდესაც

ზრდასრული მოსახლეობის დაინფიცირების სიხშირე წელიწადში 0,5%-ს შეადგენს [155]. შეიმჩნევა უარყოფითი კავშირი **Hp** ინფექციის გავრცელებასა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას შორის [178].

ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში ბავშვთა უმეტესობა **Hp**-ით ინფიცირებულია უკვე 10 წლის ასაკისთვის, ხოლო სიცოცხლის შუა წლებში ამ გამომწვევის ნახვა პრაქტიკულად თითქმის ყველა ადამიანის ორგანიზმშია შესაძლებელი. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ამ დაავადების გავრცელების დონე გაცილებით დაბალია. აშშ-ში, ევროპასა და ოკეანეთის ქვეყნებში მოსახლეობის დაახლოებით მესამედია ინფიცირებული, მათგან უმეტესობა უფროს ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. [127, 86]. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში **Hp** მოსახლეობის 40-70%-ს აქვს [181]. ხოლო რუსეთში 50-80%-ს [60]. ზოგიერთი ეპიდემიური კვლევის მონაცემი ადასტურებს, რომ ეს ინფექცია მამაკაცებში უფრო გავრცელებული ვიდრე ქალებში (საშუალოდ 5-20%-ით) [131].

Cp ობლიგატური უჯრედშიდა გრამუარყოფითი მიკროორგანიზმია, რომელიც პირველად გამოყვეს ტაივანში 1965 წელს [48]. იგი ძირითადად ზემო და ქვემო სასუნთქი გზების დაავადებების გამომწვევია, რაც უპირატესად უსიმპტომოდ ან

მსუბუქ ფორმებში მიმდინარეობს, თუმცა ხშირად ქრონიზაციასაც განიცდის. **Cp** გადაეცემა ჰაერ-წვეთოვანი გზით [36].

მოსახლეობის უმეტესობა **Cp** -ით ინფიცირდება 20 წლის ასაკამდე და ამ გამომწვევს ახასიათებს ხშირი რეინფექცია.

კვლევების მიხედვით აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში **Cp** -ით გამოწვეული ინფექციები 5 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩვეულებრივ არ აღინიშნება, 5-15 წლის ასაკში კი დაინფიცირება საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს (5-10%-ში ყოველწლიურად), შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში კი დაინფიცირების სიხშირე 1-2%-ია. პირველი ინფექციის შემდგომ ანტისეულები ცირკულირებს 3-5 წლის განმავლობაში. 20 წლის ასაკისათვის სისხლში ამ გამომწვევის საწინააღმდეგო ანტისეულები მოსახლეობის 50%-ს აღენიშნება, ხოლო ხანში შესულებში კი 70-80%-ს. ზოგიერთი ავტორი ასეთ ტენდენციას ხშირი რეინფექციით ხსნის. მსოფლიო მასშტაბით მრავალი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ანტისეულების ტიტრი მამაკაცებში 20 წლის ზემოთ საკმაოდ მაღალია, რასაც ამ კონტიგენტში ათეროსკლეროზის განვითარების მაღალ სიხშირეს უკავშირებენ [68]. ამასთან, ამ გამომწვევის არსებობა აღინიშნება უფრო მწეველებში ვიდრე იმ პირებში, რომელიც თამბაქოს არ მოიხმარს. [97]

1.2 06 ვექციისა და ათეროსკლეროზის ურთიერთკავშირი

ჯერ კიდევ 1859 წელს ვირხოვის შრომებში გამოიკვეთა ათეროსკლეროზისა და ინფექციას შორის ურთიერთკავშირი და ანთების როლი ათეროსკლეროზის მიმდინარეობაში [165]

მას შემდეგ 100 წლის განმავლობაში მეცნიერები ცდილობდნენ ათეროსკლეროზთან მრავალი ინფექციური აგენტი დაეკავშირებინათ, როგორიცაა *Salmonella Typhi*, სტრეპტოკოკი, ციტომეგალოვირუსი, მიკოპლაზმა, *Cp*, *Hp* და ა.შ. [122]

Cp-ს პათოგენეზურ როლზე ათეროსკლეროზის პროცესში პირველი მონაცემები გამოჩნდა 1988 წელს საიკუს და თანაავტორების შრომებში, რომელთა მიხედვით მიოკარდიუმის ინფარქტგადატანილი პაციენტების 68% და გიდ მქონე პაციენტების სისხლში 50% *Cp*-ის საწინააღმდეგო IgG და IgA მაღალი ტიტრი აღენიშნებათ, საკონტროლო ჯგუფში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 17%-ს აღწევს. [143]

მსგავსი შედეგები მიიღეს 5 წლიანი პროსპექტული კვლევის Helsinki Heart Study-ს შედეგად (1992) [14]. ამ კვლევის მიხედვით საკვლევი პაციენტების სისხლის შრატში ყოველ 3 თვეში ხდებოდა ანტიქლამიდიური ანტისხეულების და ცირკულირებადი იმუნური კომპლექსების განსაზღვრა. დადგინდა, რომ CP ინფექციის სეროლოგიური მტკიცებულებანი გაცილებით უფრო

სშირად აღენიშნებათ გიდ მქონე პაციენტებს, ვიდრე პირებს, ამ პათოლოგიის გარეშე. გიდ პაციენტების 70%-ს CP-ინფექციის სეროლოგიური მტკიცებულება აღმოაჩნდა (1993) [144].

გარდა ამისა, ამ კვლევაში დადგინდა, რომ ანტისეულებისა და მოცირკულირე იმუნური კომპლექსების რაოდენობის მომატება მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების დამოუკიდებელ რისკ-ფაქტორსაც წარმოადგენს.

E.Linnamaki და თანაავტორთა (1993) შედეგების მიხრდვით CP-სპეციფიური იმუნური კომპლექსები გიდ ჯგუფის პაციენტების 41%-ში გამოვლინდა, ხოლო საკონტროლო ჯგუფში 15% -ში. ამასთან ისინი მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ გიდ მქონე პაციენტების უმრავლესობას აქვს პერსისტიული ქლამიდიური ინფექცია. [94]

ასეთივე შედეგებია D.Thom და თანაავტორთა კვლევებში (1992), სადაც გიდ პაციენტებში ანტიქლამიდიური ანტისეულების არსებობა 2,8-ჯერ ზრდის გულ-სისხლძარღვთა გართულებების რისკს, ამასთან აღსანიშნავია, რომ თამბაქოს მოხმარება გართულებების სისშირის 5,4-ჯერ მომატებას იწვევს, თუმცა ავტორთა აზრით პირდაპირი კავშირი ანტისეულების მომატებასა და გიდ გართულებებს შორის არ არსებობს [159].

Mulhelshtein და თანაავტორებმა (1996) დაადგინეს, რომ კორონარული ათეროსკლეროზული ფოლაქების 79% შეიცავს CP-ს, მაშინ როცა საკონტროლო ჯგუფის პაციენტთა ფოლაქების მხოლოდ 4%-ში დაფიქსირდა CP-ის არსებობა [114].

B.Chui და თანაავტორებმა (1997) გამოიკვლიეს კაროტიდული ენდარტერექტომიის შედეგად მიღებული 76 პრეპარატი, აქედან 71%-ში აღმოჩნდა CP-ს, 35,5%-ში ციტომეგალოვირუსის, ხოლო 10,5%-ში მარტივი ჰერპესის ვირუსის კვალი, მაშინ, როცა 20 საკონტროლო პრეპარატში არცერთი ზემოთჩამოთვლილი მიკროორგანიზმი არ აღმოჩენილა [27].

E.Biasi-ის (1996) მონაცემებით აორტის ანევრიზმის 51 ათეროსკლეროზული ფოლაქის ტესტირებისას 26 მათგანში დაფიქსირდა CP-ის არსებობის კვალი, ხოლო არცერთში Hp-ის არსებობა არ დადასტურდა, მაშინ როდესაც წინასწარი მონაცემებით ამ 51 პაციენტიდან CP-ს მიმართ სეროპოზიტიური იყო 41, ხოლო Hp-ს მიმართ 47 პაციენტი. ამ მონაცემებით ავტორები ადასტურებენ CP-ს მონაწილეობას ათეროსკლეროზის პროცესში, მაშინ როცა იგივე Hp-ს შესახებ არ დასტურდება [21].

ამერიკელი მეცნიერები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ CP-ს აქვს ტროპიზმი გულ-სისხლძარღვთა სისტემის მიმართ. მათ 38

გვამიდან აღებული მასალის გამოკვლევის შედეგად, სადაც CP-ნახეს კორონარებში 34 %-ში, ფილტვებში 13%-ში, ლვიძლში 10%-ში, ელექტოში 5%-ში [69]

1992 წელს Shor და თანაავტორებმა ტრანსმისიული ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით პირველად აღმოაჩინეს CP ათეროსკლეროზულ ფოლაქებში არსებულ მაკროფაგებში, [152] ხოლო Kuو და თანაავტორებმა PCR და ჰისტოლოგიური მეთოდების გამოყენებით CP 15-34 წლამდე პაციენტების აუტოფსიურ ათეროსკლეროზულ ფოლაქებში [85].

Kol და თანაავტორებმა 1998 წელს პაციენტის ათეროსკლეროზული ფოლაქიდან გამოყვას ქლამიდიური სითბური შოკის პროტეინი (HSP) 60 [81].

Hu და თანაავტორებმა (1999) ექსპერიმენტების შედეგად APO-E/- ვირთაგვებზე, აღმოჩინეს, რომ ჰიპერლიპიდემიის შედეგად ვითარდება ათეროსკლეროზული ფოლაქები. ამასთან, ამ ვირთაგვების CP-ით ინტრანაზალურად დაინფიცირებისას ათეროსკლეროზული ფოლაქები განიცდიდნენ ზომაში მატებას და სისხლძარღვთა სანათურის უფრო მეტად შევიწროებას [61].

მსგავსი შედეგებია Campbell და თანაავტორთა შრომებში, ოღონდ დსლქ-რეცეპტორის არ მქონე ვირთაგვებში. კვლევებით

ნანახი იქნა, რომ Chlamydia Trachomatis-ით ვირთაგვების დაინფიცირების შედეგად ათეროსკლეროზული პროცესი არ პროგრესირებს [23].

კვლევები ჩატარდა ახალზელანდიური თეთრ ბოცვრებზეც [44, 87, 115], რომელთაც არ აძლევდნენ ათეროგენულ საკვებს, თუმცა მათი *Cp*-ით ინფიცირების შედეგად აორტაში ანთებითი ცვლილებები და ადრეული ათეროსკლეროზული ფოლაქები განვითარდა. მაშინ როდესაც მსგავსი ბოცვრების მიკოპლაზმით დაინფიცირების შედეგად ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია [44].

In vitro კვლევებით დადგენილია, რომ *Cp* აქვს უნარი პერსისტირებდეს და მრავლდებოდეს ენდოთელურ [75] და გლუკუნთოვან უჯრედებში და ასევე მაკროფაგებში [46].

ვირთაგვებზე ჩატარებული ცდების შედეგად დადგინდა, რომ *Cp*- აინფიცირებს მაკროფაგებს in vivo, ამ გზით მოხვდება იგი როგორც ლიმფურ, ასევე სისხლის მიმოქცევაში, რაც განაპირობებს ინფექციის დისემინაციას [112].

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში Mendall და თანაავტორებმა გამოაქვეყნეს მონაცემები, რომ ჰელიკობაქტერიული ინფექცია ორჯერ უფრო ხშირად გვხვდება გიდ პაციენტებში, ვიდრე ჯანმრთელ პირებში [107], ამავე დროს

დადგენილია, რომ შაქრიანი დიაბეტის მქონე ***Hp*** ინფიცირებულ
პაციენტებში გიდ და მისი გართულებების რისკი 4-ჯერ უფრო
მაღალია, ვიდრე არაინფიცირებულებში [32].

ამასთან პაციენტებს ***Hp*** და ***Cp*** საწინააღმდეგო
ანტისეულების არსებობის პირობებში მიოკარდიუმის ინფარქტის
(მ0) განვითარების 2-ჯერ მეტი რისკი აქვთ სერონებატიურ
პაციენტებთან შედარებით [112].

ცნობილია ისიც, რომ გიდ პაციენტებს ***Hp***-ის ერადიკაციის
შემდეგ აღენიშნებათ დაავადების კლინიკური მიმდინარეობის
საგრძნობი გაუმჯობესება და ამასთან სარწმუნო შემცირება
სითბური შოკის ცილა 65-ის საწინააღმდეგო ანტისეულების
ტიტრისა [20].

ამავე დროს ათეროსკლეროზით დაავადებულ პირებში ***Hp***-ს
დნმ იპოვეს კაროტიდული ენდარტერექტომიის შედეგად აღებულ
მასალაში (ათეროსკლეროზულ ფოლაქებში), მაშინ როდესაც
პრაქტიკულად ჯანმრთელებში ***Hp***-ს დნმ არ აღმოჩენილა. [4] ***Hp***
ის დნმ ნაპოვნია აგრეთვე კორონარული ფოლაქებიდან აღებულ
მასალაში [82]. Bruneck პროსპექტული კვლევით დამტკიცდა, რომ
ათეროსკლეროზული ფოლაქის ზრდა ასოცირებულია
ორგანიზმში ვირულენტური (Cag-A პოზიტიური) შტამის

არსებობასთან, მაშინ, როცა ეს კორელაცია არ შეინიშნება არავირულენტური შტამის (Cag-A ნეგატიური) არსებობისას. ამასთან აღწერილია Cag-A-ს საწინააღმდეგო ანტისეულების ჯვარედინი რეაქტიულობა სისხლძარღვთა ანტიგენების მიმართ, რაც ზრდის მტკიცებულებას იმისას, რომ აუტოიმუნურ და ჯვარედინ რეაქტიულობას დიდი მნიშვნელობა აქვს ***Hp*** ის ინფექციასა და ათეროსკლეროზს შორის კავშირში [101].

რამოდენიმე პროსპექტული კვლევით დადგინდა ასევე გიდ კლინიკურ გამოვლინებებსა და ჰელიკობაქტერულ ინფექციას შორის კავშირის არსებობა [170, 158, 8, 166]. თუმცა ზოგიერთ სხვა კვლევაში ეს კავშირი არ დასტურდება დიდ პროსპექტულ კვლევაში ARIC სარწმუნო კორელაცია გიდსა და ინფექციას შორის მიღებულ არ იქნა. [42]

Seung ha Park და თანაავტორთა მონაცემებით *Hp* ერადიკაციის შედეგად არ ვლინდება ანთების მარკერებისა და ლიპიდური პროფილის პარამეტრების სარწმუნო გაუმჯობესება. [52]

J.Danesh და R.Peto-ს მიერ 18 პროსპექტული კვლევის მეტაანალიზით დადგინდა, რომ გიდ და *Hp* ინფექციას შორის არ აღინიშნება მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი. [64]

1.3 ცხიმოგანი ცვლა ინფექციის დროს

ქრონიკული ინფექციისა და ანთებითი პროცესების შედეგად ხდება ლიპიდური ცვლის დარღვევა: რის შედეგადაც იმატებს კ.წ. ათეროგენული ლიპოპროტეინები და ტრიგლიცერიდები (ტგ) და კლებულობს მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების ქოლესტერინის (მსლქ) რაოდენობა.

ცნობილია, რომ ციტოკინები და განსაკუთრებით TNF-ა, ილ-1 და ილ-6 მონაწილეობს ანთების მწვავე ფაზის პასუხის წარმოშობაში და იწვევს ცვლილებებს ლიპიდურ სპექტრში [49]. ასე, რომ ინფექციის დროს ლიპიდური სპექტრის ცვლილება შეიძლება ჩაითვალოს ანთების მწვავე ფაზის პასუხის ზოგიერთი ავტორის მონაცემებით ქრონიკული ინფექციის დროს აღინიშნება ძირითადად ტგ რაოდენობის მომატება დსლქ და მსლქ-ის შემცირების ფონზე. ამ დროს არ ქვეითდება კ.წ. small danse დსლქ, რომელიც უფრო ათეროგენულია [146, 50, 40, 25], ამასთან მათ გააჩნიათ უფრო დაბალი აფინიტეტი ჰეპატოციტების მემბრანაზე განლაგებულ დსლქ-ის რეცეპტორების მიმართ და უფრო მეტად განიცდიან პეროქსიდაციას.

ინფექციური აგენტების კედლის ანტიგენები წარმოადგენენ მათი ვირულებობის მნიშვნელოვან ფაქტორს, გრამუარყოფითი ბაქტერიების ლიპოპოლისაქარიდის სისხლში ცირკულირებისას

ადინიშნება მათი ურთიერთქმედება დსლქ-სთან, რაც განაპირობებს დსლქ მოლეკულის კონფორმაციის შეცვლას და შედეგად ირღვევა აფინიტეტი დსლქ რეცეპტორთან, ადინიშნება დსლქ ჭარბი დაგროვება სისხლში [182].

გარდა ამისა, ანთების საპასუხოდ დვიძლის მიერ გამომუშავებული შრატის ამილოიდი A უერთდება რა მსლქ მოლეკულას, ამით აინპიპირებს ქოლესტერინის უჯერი ცხიმოვანი მჟავებით ეთერიფიკაციას. რის გამოც უჯრედი განიცდის უჯერი ცხიმოვანი მჟავების დეფიციტს, რაც ვ.ტიტოვის ათეროსკლეროზული თეორიის მიხედვით ათეროგენეზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პათოგენეზური რგოლია. [186].

ინფექციური ტოქსინები აინპიპირებენ ფერმენტებს, რომლებიც მონაწილეობენ ცხიმოვანი მჟავების ტრანსპორტში. ტბ და ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების ქოლესტერინი (ძდსლქ) პიდროლიზის დარღვევა იწვევს უჯრედის მიერ ძდსლქ და ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების ენდოციტოზის შეფერხებას [78]

Kerttula და Weber-მა შეისწავლეს Cr-ით ინფიცირებული პაციენტების ლიპიდური სპექტრი. პვლევის შედეგად ინფიცირებულ პაციენტებში სქ და ტბ სარწმუნო მომატება აღინიშნა არაინფიცირებულ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

ამასთან ადინიშნა მსლქ-ის კონცენტრაციის სარწმუნო დაქვეითებაც [79].

Leinonen და თანაავტორებმა შეისწავლეს ლიპიდური სპექტრის ცვლილება ერთის მხრივ Cp-ით, ხოლო მეორეს მხრივ პნევმოკონიო და ვირუსული გენეზით გამოწვეული პნევმონიო დაავადებულებში. აღმოჩნდა, რომ Cp-ის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მსლქ შემცირებას უფრო მეტად და ტბ მატებას უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე პნევმოკოკური ანდა ვირუსული ეტიოლოგიის დროს [91].

ზოგიერთი მეცნიერის მონაცემებით, ლიპიდური სპექტრის ათეროგენული ცვლილება ასოცირებულია ანტიქლამიდიური ანტისეულების არსებობასთან პრაქტიკულად ჯანმრთელ მამაკაცებში [89].

გარდა იმისა, რომ Cp იწვევს ლიპიდური სპექტრის ათეროგენულ ცვლილებას, მას აქვს უნარი მოახდინოს დსლქ-ს პეროქსიდაციაც. Kalajoglu და თანაავტორთა კვლევებით დადგენილია, რომ Cp-ის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი HSP60 იწვევს ნატიური დსლქ ოქსიდაციას და მის ჩართვას ათეროგენეზის პროცესში [74], ამავე ავტორის შემდგომ კვლევებში ნაჩვენები იქნა, რომ Cp უშუალო ზემოქმედებით იწვევს მაკროფაგებიდან ქაფიანი უჯრედების წარმოქმნას [73].

ზოგიერთი კვლევით დაგენილია, რომ ქრონიკული HP ინფექციის დროს აღინიშნება სქ, დსლქ და ტბ კონცენტრაციის სარწმუნო მომატება, მსლქ დაქვეითების ფონზე [120, 90]. ლიპიდური სპექტრის ასეთივე ცვლილება აღინიშნა სხვა კვლევების დროსაც, თუმცა ეს ცვლილება სტატისტიკურად არასარწმუნო იყო [180].

ნ.ყიფშიძის, ნ.კაკაურიძის და პ.ქანთარიას შრომებში ნაჩვენებია, რომ ქრონიკული HP ინფექციის შედეგად ხდება ათეროგენული ლიპოპროტეიდების და ფიბრინოგენის კონცენტრაციის მომატება, რასაც თან ახლავს მსლქ დაქვეითება, ამასთან ავტორები აღნიშნავენ, რომ ინფექცია “აგრესიული ათეროსკლეროზის” ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია. [1]

Danesh and Peto ნახეს მსლქ მცირედი, თუმცა სარწმუნო შემცირება HP ინფიცირებული ჯგუფის პაციენტებში, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (0.032 მმოლ/ლ , $p=0.008$) [30].

A.Hoffmeister და თანაავტორებმა გამოიკვლიეს სისხლის ლიპიდური პროფილი CP, HP და ციტომეგალოვირუსით ინფიცირებულებში და დაადგინეს, რომ ლიპიდური სპექტრის ცვლილება ასოცირებულია, მხოლოდ HP ქრონიკულ ინფექციასთან და არა CP და CMV-სთან. [3]

ამავე დროს ლიტერატურაში არის ცნობები იმის შესახებაც,
რომ HP იწვევს დსლქ პეროქსიდაციასაც [34, 58]

1.4 C-რეაქტიული ცილა

უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევების მონაცემები ადასტურებენ, რომ სისხლში ანთების არასპეციფიკური მარკერების (CRP, ფბ) მომატება ასოცირდება გიდ რისკის გაზრდასთან. ხოლო ამ პათოლოგიის არსებობის შემთხვევაში-არაკეთილსაიმედო პროგნოზთან [134, 98]

CRP ანთების მწვავე ფაზის ცილაა, რომელიც სინთეზირდება ჰეპატოციტების მიერ ილ-6-ის ზემოქმედების შედეგად, გარდა ამისა მას ასინთეზებს ალვეოლარული და ფოლაქში არსებული მაკროფაგები და ლიმფოციტები. იგი ანთებისა და ქსოვილოვანი დესტრუქციის მარკერია [62, 33]

პლაზმაში ილ-6-ის კონცენტრაცია კორელირებს CRP-ს კონცენტრაციასთან [24]

პირველად გიდ გამწვავების დროს CRP-ს პროგნოზული როლის შესახებ მონაცემები მიღებულ იქნა კვლევაში MRIFT (Multiple risk factor intervention trial). ამავე კვლევის შედეგების მიხედვით მი განვითარების და სიკვდილის რისკი 3-ჯერ მატულობდა იმ ჯგუფში სადაც ეს ცილა იყო მომატებული [84].

ასეთივე შედეგებია კვლევაში PHS, რომლის მიხედვითაც საშუალო ასაკის მამაკაცებში ამ ცილის მომატება გულ-სისხლძარღვთა დაავადების განვითარების რისკს ზრდიდა 2,9 –

ჯერ და ამასთან, რისკის ეს მაჩვენებელი უცვლელი იყო შემდგომი 6 წლის განმავლობაში [136].

პროსპექტულ კვლევაში Helsinki heart study CRP-ს კონცენტრაციის მომატება ასოცირებული იყო მი განვითარების რისკის 2-ჯერ გაზრდასთან მამაკაცთა პოპულაციაში [140].

M.Jarvisalo და თანაავტორები CRP-ს განიხილავენ როგორც ათეროგენეზში მონაწილე ერთ-ერთ ფაქტორს, რომელიც იწვევს ენდოთელურ დისფუნქციას ჯერ კიდევ ადრეული ბავშვობის ასაკში. მოზარდთა საძილე არტერიების ულტრასონოგრაფიული გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ მოზარდებს ვისაც სისხლში CRP-ს მომატებული კონცენტრაციით აღენიშნებოდათ ინტიმა- მედიის სარწმუნო გასქელება [70].

W.Koeing-მა CRP-ს მიხედვით შემოგვთავაზა გიდ განვითარების რისკის სტრატიგიკაციის კრიტერიუმები. როდესაც CRP-ს დონე არ აღემატება 1 მგ/დლ, მაშინ რისკი გიდ განვითარებისა უმნიშვნელოა, თუ CRP-ს დონე მერყეობს 1-3 მგ/დლ მდე, მაშინ რისკი საშუალოა, ხოლო თუ CRP-ს დონე მეტია 3 მგ/დლ-ზე რისკი ძალიან დიდია [83].

3 წლიანი კვლევის FRISK მიხედვით პაციენტებში სიკვდილობის მაღალი რისკი (7,5%) დაკავშირებული იყო CRP-ს მაღალ კონცენტრაციასთან (>10 მგ/დლ), თუმცა ლეტალური

გამოსავლის ალბათობა მომატებული (3,6%) იყო CRP-ს კონცენტრაციის უფრო დაბალ ციფრებთანაც (2-10 მგ/დლ). CRP ტროპონინთან ერთად წარმოადგენდა კარდიოვასკულარული მიზეზით განვითარებული სიკვდილის დამოუკიდებელ პრედიქტორს [92].

კვლევაში CAPTURE CRP წარმოადგენდა მწვავე კორონარული სინდრომის განვითარების პრედიქტორს უახლოესი 6 თვის განმავლობაში ტროპონინისაგან დამოუკიდებლად [57].

ზოგიერთი პროსპექტული კვლევების მონაცემებით CRP გიდ განვითარების დამოუკიდებელ რისკ-ფაქტორად ითვლება. [სტ 26 №8-14].

ავტორთა (Ridker P.M 2003;) მონაცემებით გიდ პაციენტებში CRP მაღალი კონცენტრაციით აღენიშნებოდათ სტენოკარდიული შეტევების - 2-ჯერ, ხოლო მი განვითარების სიხშირის 3-ჯერ გაზრდა. ამავე კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, CRP მომატებისა და ლიპიდური ცვლის მოშლის (სქ/მსლქ) ერთდროულ არსებობას უფრო დიდი პროგნოზული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამ ორი მარკერის ცალკე, იზოლირებულ გაზრდას [139].

ქრონიკული ინფექციისა და ანთების დროს მატულობს CRP-ს და ფიბრინოგენის დონე, რაც იწვევს ფოლაქის

დესტაბილიზაციას და ათეროსკლეროზული პროცესის პროგრესირებას. ზოგიერთ კვლევაში ნანახი იქნა ასოციაცია CRP-ს მომატებულ მნიშვნელობასა და CP და HP ინფექციას შორის:

პროსპექტულ კვლევაში, რომელიც ჩატარდა პიპერებულ სტერინემიის მქონე საშუალო ასაკის მამაკაცებში Roivanen-მა აჩვენა, რომ იმ პაციენტებში, რომელთაც ადენიშნებათ CP საწინააღმდეგო ანგისხეულების მაღალი ტიტრი, სარწმუნოდ მატულობს, CRP-ს დონე, რაც დაკავშირებულია ათეროსკლეროზის შემდგომ გართულებებთან [141].

Johnson et al შეისწავლეს ათეროსკლეროზით დაავადებულ პაციენტთა ენდარტერექტომიის შედეგად მიღებული პრეპარატები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ CRP-ს კონცენტრაცია მომატებული იყო იმ პაციენტების შრატში რომელთა ათეროსკლეროზულ ფოლაქებში ნანახი იქნა სიცოცხლისუნარიანი CP [71].

1.5 ფიბრინოგენი

ფიბრინოგენი წარმოადგენს ანთების მწვავე ფაზის ცილას, რომლის კონცენტრაციის მომატებაც ასოცირდება ათეროსკლეროზის და ფარული ანთებითი პროცესის არსებობასთან. მას სხვა ანთებით მარკერებთან ერთად გააჩნია პროგნოზული მნიშვნელობა კარდიოვასკულარული დაავადებებისა და მათი გართულებების დროს. გამოკვლევებით დადასტურებულია ამ ცილის რაოდენობის მნიშვნელოვანი კორელაცია ერითროციტების აგრეგაციასა და ადჰეზივობასთან [142].

მრავალი ეპიდემიოლოგიური კვლევით [65, 9] დადასტურდა ფიბრინოგენის კავშირი კარდიოვასკულურ დაავადებებთან. როგორც Walter H. Reinhart (2003) და თანაავტორები აღნიშნავენ, იგი წარმოადგენს როგორც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების, ასევე მათი გამწვავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროგნოზულ მარკერს [167]. თუმცა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი საკითხი იმის თაობაზე, რომ ფიბრინოგენი ათეროსკლეროზის მარკერია თუ მედიატორი. ამ მიმართულებით საიტერესო კვლევებია ჩატარებული ავტორთა მიერ [53, 133], რომელთაც შეისწავლეს ტრანსგენური თაგვების შთამომავლობაში ათეროსკლეროზის განვითარების სისშირე. მათ საწყის ტიპებად აირჩიეს თაგვები, რომელთაც ჰქონდათ ფბ

სინთეზზე პასუხისმგებელი გენის ჰიპერ- ან ჰიპოექსპრესია და აპო-E დეფიციტური ხაზები. აღმოჩნდა რომ, ათეროსკლეროზის განვითარების რისკის სტატისტიკურად სარწმუნო მატება ჰიბრიდულ შთამომავლობაში არ აღინიშნა [52]. თაგვებში რომლებსაც აღენიშნებოდათ გენეტიკური ჰიპერფიბრინოგენემია, ათეროსკლეროზული დაზიანების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები არ განსხვავდებოდა საკონტროლო ჯგუფისგან.

Xiao Q. და თანაავტორების (1998) –ს გამოკვლევებით აპო-E დეფიციტური თაგვებისა და ფიბრინოგენის გენდეფიციტური თაგვების ჰიბრიდულ შთამომავლობაში დაბალი ცხიმოვანი დიეტის პირობებშიც კი ათეროსკლეროზის განვითარების რისკი იგივე დარჩა. ამრიგად, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს ფიბრინოგენი უფრო მეტად წარმოადგენს ათეროსკლეროზის მარკერს ვიდრე მედიატორს, თუმცა როგორც იგივე ავტორები აღნიშნავენ თაგვებზე ჩატარებული ცდები სრულფასოვნად ვერ ასახავენ ადამიანში ათეროსკლეროზის პათოფიზიოლოგიურ მექანიზმს, რადგანაც თაგვების მოდელში გამორიცხული იყო ჰიპერტენზია (რაც ადამიანებში ათეროგენეზის მნიშვნელოვანი ფაქტორია) და მათ ათეროსკლეროზულ ფოლაქების შემადგენლობაში ფიბრინი არ შედიოდა [174].

ადამიანებში ათეროსკლეროზული ფოლაქის განვითარების საწყის ეტაპზე ფიბრინოგენი უკავშირდება ენდოთელურ უჯრედს და იწვევს გაზოაქტიური მედიატორების გამოყოფას, რაც ზრდის ენდოთელიუმის განვლადობას [59]. ამას მოსდევს ფიბრინის ჩალაგება სუბენდოთელიარულ სივრცეში, ფიბრინი კი წარმოადგენს სწორედ იმ ადსორბციულ ზედაპირს რომელზეც ხდება დსლქ და აპო A –ს დაგროვება [132, 95]

Bini A, et al. (1989) მონაცემებით ადრეული ათეროსკლეროზული ლაქები შეიცავენ უპირველეს ყოვლისა ფიბრინოგენს და ფიბრინს, ხოლო მოგვიანებით მისი დაშლის პროდუქტებს. ამ შედეგების შეჯამებით, შეიძლება დავასკვნათ რომ ფიბრინოგენი შეიძლება ჩაითვალოს ათეროსკლეროზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პათოგენეზურ რგოლად [18].

ფიბრინოგენის მაჩვენებლის მომატებაზე იწვევს შემდეგი ფაქტორები: ასაკი, სქესი, მწეველობა, დიაბეტი, ჰიპერტენზია, სიმსუქნე, ჰიპორლიპიდემია, ცხოვრების ადინამიური წესი [17].

ფიბრინოგენის სინთეზი პეპატოციტებში ინდუცირდება ინტერლეიკინ-6-ით. ფიბრინოგენის ბიოსინთეზი კავშირშია ქოლესტეროლის სინთეზთან, რადგან ოქსისტეროლი რომელიც თრგუნავს ქოლესტეროლის ბიოსინთეზს და დსლქ ათვისებას, აგრეთვე თრგუნავს ფიბრინოგენის ექსპრესიას [173].

კოაგულაციის პროცესის ბოლო საფეხურზე იგი თრომბინის ზემოქმედებით გარდაიქმნება ფიბრინად. ფიბრინოგენი ასევე ააქტიურებს თრომბოციტებს და ზრდის მათი აგრეგაციის უნარს, აგრეთვე დიდ გავლენას ახდენს პლაზმის წებოვნებაზე, ერთორციტების აგრეგაციაზე და ენდოთელზე მათ ადჰეზიაზე, რაც ალბათ განაპირობებს მის მნიშვნელოვან როლს ათეროსკლეროზის გართულებების პათოგენეზში.

ჰისტოპათოლოგიური კვლევებით გამოვლინდა, რომ ადამიანის ათეროსკლეროზულ ფოლაქს აქვს ჰემილოგენული შენება [172, 104], რაც განსაზღვრავს შემდგომში ისეთი გართულებების განვითარებას როგორიცაა ფოლაქის რუპტურა, თრომბოზები და მათგან გამოწვეული ცერებროვასკულარული და კარდიოვასკულარული გამწვავებები. ფოლაქის ზემოთაღნიშნულ გართულებებზე ფიბრინოგენის გარდა შეიძლება გავლენა მოახდინოს ისეთმა რისკ ფაქტორებმა როგორიცაა ასაკი, მამრობითი სქესი, ჰიპერჟოლესტერინემია, ჰიპერტენზია, მწეველობა და შაქრიანი დიაბეტი. ამას ადასტურებს [100].

მონაცემები, რომლის თანახმადაც ჰიპერფიბრინოგენემიის მქონე ჰაციენტებში კაროტიდულ ფოლაქებს გააჩნიათ განსხვავებული მორფოლოგიური შენება, ისინი შეიცავენ დიდი რაოდენობით ანთებით უჯრედებს და ქაფისებრ მაკროფაგებს, მათ აქვთ თხელი ფიბროზული გარსი და ამის გამო ფოლაქების

დესტრუქციის და თრომბოზების განვითარების მომატებული რისკი.

Lagendijk J და თანაავტორთა მიერ (1997) შესწავლილი იქნა 72 პაციენტის ენდარტერექტომიის შედეგად მიღებული მასალის (ათეროსკლეროზული ფოლაქების) პისტოლოგიური შენება. გამოკვლეული პირები პლაზმაში ფიბრინოგენის შემცველობის მიხედვით დაიყო სამ ჯგუფად. ფოლაქების პისტოლოგიური ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ფიბრინოგენის მაღალი შემცველობის (>407 მგ/დ) ჯგუფში უფრო დიდი იყო მათი დესტრუქციის განვითარების რისკი (შემთხვევათა 66,7%) ვიდრე საშუალო (29,2%) და დაბალი (21,7%) შემცველობის ჯგუფში. კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ფიბრინოგენი ათეროსკლეროზის დამოუკიდებელ რისკ ფაქტორს წარმოადგენს, იგი ამცირებს ფოლაქის ფიბროზული საფარველის სისქეს, ზრდის მასში მაკროფაგების ინფილტრაციას და შემდგომში გართულებების განვითარების რისკს [86].

ამას ადასტურებს კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც ანგიოპლასტიკის შემდგომ პერიოდში ფიბრინოგენის მაჩვენებლის მომატება ასოცირებულია რესტენოზის განვითარების რისკთან [148].

1.6 ერითროციტების დალექვის სიჩქარე

სხვადასხვა კვლევის შედეგებით დადასტურებულია, რომ ერითროციტების დალექვის სიჩქარე (ედს) ათეროსკლეროზის გამწვავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მარკერს წარმოადგენს, ედსის დადგენა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანი კვლევის მეთოდია, რომელიც 1918 წელს კლინიკაში პირველად გამოიყენა ფარეუსმა.

ფაქტორები რომლებიც გავლენას ახდენს ედს-ის სიჩქარეზე დღემდე სრულყოფილად შესწავლილი არ არის, თუმცა ცნობილია, რომ მასზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი: ერითროციტების ზომა, მოცულობა და რაოდენობა, აგრეგაციის უნარი, ერითროციტში ჰქმოგლობინის შემცველობა, სისხლში ნალვლის მარილებისა და პიგმენტების რაოდენობა, სისხლში CO_2 -ის კონცენტრაცია, პლაზმის წებოვნება და სხვა. ედს-ზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს სისხლის ცილების რაოდენობრივი და თვისობრივი შემადგენლობა. დღესდღეობით ედს ითვლება სისხლის შრატის კოლოიდური მდგრადობის სინჯად, რომელიც თავის მხრივ განპირობებულია ალბუმინების და გლობულინების თანაფარდობით. ალბუმინები გარს ეკვრიან ერითროციტებს და იცავენ მათ აგლომერაციისაგან. ანთებითი და სიმსივნური დაავადებები იწვევს პლაზმის მაღალმოლეკულური

ცილების მომატებას (ფიბრინოგენი, იმუნოგლობულინები, ლიპოპროტეინები და ალფა-2 მაკროგლობულინი) და შესაბამისად ალბუმინებსა და გლობულინებს შორის ნორმალური თანაფარდობის დარღვევას. ეს ამცირებს ალბუმინების დამცველობითი ფუნქციას, ირღვევა ერითროციტების უარყოფით მუხტები, იზრდება მათი აგრეგაციის უნარი, რაც თავის მხრივ აისახება ედს-ის მომატებით.

ერითროციტების დალექვის პროცესში გამოყოფენ 3 ფაზას:

I ფაზაში ერითროციტები გრავიტაციული ძალის ზეგავლენით ნელ-ნელა ეშვებიან ფსკერისაკენ.

II ფაზაში ერითროციტების დალექვის სიჩქარე იმატებს: ისინი განიცდიან აგლომერაციას და წარმოქმნიან სხვადასხვა ზომის გროვებს, რომელთა დალექვა უფრო ჩქარია ვიდრე ცალკეული უჯრედების. რაც უფრო დიდია აგლომერატების ზომები, მით უფრო სწრაფია დალექვის პროცესი. აგლომერაცია წარმოადგენს ერითროციტების დალექვის ძირითად ფენომენს.

III ფაზაში დალექვის სიჩქარე კვლავ იკლებს. ერითროციტების აგლომერატები ლაგდებიან ისე მჭიდროდ, რომ მათი დალექვა ძნელდება. საბოლოოდ დალექვის პროცესი წყდება.

ვესტერგრენი, ტერელი და ვილდსტრემი ედს და სისხლის ცილოვან ფრაქციებს შორის კავშირს გამოხატავენ შემდეგი ფორმულით:

ედს-ი 1სთ=140.4 X ფიბრინოგენი გ% + 6.22 X გლობულინები გ% – 6.09 X ალბუმინები გ% – 24.5.

ფორმულიდან ჩანს რომ ერითროციტების დალექვის სიჩქარეზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ფიბრინოგენი.

ახალშობილებში ედს ძალიან შენელებულია, ეს განპირობებულია ჰემატოკრიტის მაღალი მაჩვენებლითა და გლობულინების დაბალი შემცველობით. 4 კვირის შემდეგ აღინიშნება ედს-ის მცირედ მომატება, რაც გრძელდება 2-3 წლამდე, შესაძლოა ეს დაკავშირებული იყოს ფიზიოლოგიურ ანემიასთან.

ბოლო დროს აქტიურად მიმდინარეობს კვლევები ედს და ათეროსკლეროზის ურთიერთკავშირის გამოსავლენად.

თანამედროვე შეხედულებით (Metha JL. et al., 1998) ედს მომატება წარმოადგენს მნიშვნელოვანი პრედიქტორს ათეროსკლეროზისა და მისი გართულებების რისკის ჯგუფის გამოსავლენად [109]. იგი მეტად იაფი და სწრაფი მეთოდია ორგანიზმის ანთებითი პასუხის გამოსავლენად, რადგანაც ცნობილია, რომ ათეროსკლეროზის გართულებებში ერთ-ერთი წამყვანი როლი აკისრია ათეროსკლეროზული ფოლაქების დესტაბილიზაციას და შესაბამისად ანთებით რეაქციას, ამიტომ როგორც ფიქრობენ (J. Eriksson. et al., 1982) ედს მაჩვენებელი

შეიძლება იყოს როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანი პროგნოზული მარკერი [66].

G.Eriksson et al. (2000) შეისწავლეს ჯანმრთელ პირებში ედს მაჩვენებლები და 16 წლიანი პროსპექტიული გამოკვლევით დაადგინეს, რომ ედს მაღალი დონე ასოცირებულია კარდიოგასკულური სიკვდილობის რისკის მომატებასთან. მათი მონაცემებით მაღალი ედს დაკავშირებული იყო მმი, გიდ და ათეროსკლეროზის გართულებების განვითარებასთან [63]. ამასთან ადინიშნა ედს მნიშვნელოვანი კავშირი ასაკთან, ჰემოგლობინის დონესთან, მწეველობასთან, საერთო ქოლესტერინის დონესა და სისტოლურ წნევასთან, უფრო სუსტი კორელაცია აღმოჩნდა ტრიგლიცერიდებთან და გლუკოზასთან (უზმოზე). არ ადინიშნა ედს მაჩვენებელის კორელაცია სხვა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილობასთან. მნიშვნელოვანია, რომ ჰემოგლობინისა და ტრიგლიცერიდების დონე დიდ ზეგავლენას ვერ ახდენდა ედს-ის პროგნოზულ ღირებულებაზე და შესაბამისად მმი, გიდ და ათეროსკლეროზის გართულებების განვითარების რისკს არ ზრდიდა. როგორც ვარაუდობენ. ათერომატოზული ქსოვილებიდან გამოთავისუფლებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები სხვადასხვა ბიოქიმიური მექანიზმებით ზეგავლენას ახდენენ ედს მაჩვენებელზე. ზოგიერთი ავტორის (Ross R. et. al., 1999) აზრით

აღნიშნული ნივთიერებები იწვევენ ერითროციტების მემბრანების დაზიანებას და შესაბამისად აგრეგაციის უნარის მომატებას.

Montalescot G. და თანაავტორების (1998) მონაცემები ადასტურებს ფიბრინოგენის დადებით კორელაციას ედს-ის მაჩვენებელთან [113].

Bain BJ. და თანაავტორები (1983) იკვლევდნენ ჯანმრთელ პირებს, რომელთაც მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში არ ადენიშნებოდათ სხვადასხვა ფებრილური დაავადებები და ქირურგიული ჩარევები, აღმოჩნდა რომ მომატებული ედს მაჩვენებელი დამოკიდებული იყო ფიბრინოგენის დონესთან, რადგან სხვა მიზეზი კვლევის პირობებით გამოირიცხა. ამიტომ ედს მაჩვენებელს, რომელიც არაპირდაპირად იძლევა ინფორმაციას სისხლში ფიბრინოგენის დონეზე, მეტად ლირებული პროგნოზული მნიშვნელობა აქვს მმი, გიდ და ათეროსკლეროზის გართულებების რისკის განსაზღვრისათვის. [10].

როგორც რიგი ავტორები (Schmitz G. et al., 1998; Falk E. et al., 1995) აღნიშნავენ ედს მაჩვენებელმა შეიძლება მიგვითითოს არტერიების ათეროსკლეროზულ ფოლაქებში მიმდინარე პათოლოგიური პროცესის გაღრმავებაზე [37, 149]. როგორც ცნობილია მათი დაშლა (Ridker PM. et al., 1998) ააქტივებს კოაგულაციური სისტემას და იმუნური უჯრედების გამოყოფას,

რაც თავის მხრივ იწვევს იმუნოგლობულინებისა და ფიბრინოგენის დონის მატებას, ეს კი ედსის მომატების ერთ-ერთ პათოფიზიოლოგიურ მექანიზმს წარმოადგენს [137]. სხვა ავტორთა (Berenson GS. et al., 1998) მონაცემებით, რომლებმაც შეისწავლეს კარდიოვასკულური დაავადებით გარდაცვლილი პირთა აუტოფსიური მასალა, დაადგინეს, რომ მათ აღენიშნებოდათ ათეროსკლეროზის გენერალიზირებული ფორმები არტერიების კედლის 50 % დაზიანებით [15].

Natali A. et al. (2003) მონაცემებით, რომლებიც იკვლევდნენ ედს კავშირს კორონარული სისხლძარღვების გამავლობასთან, დაადგინეს, რომ ედს მომატებული დონე კორელაციურ კავშირშია როგორც გვირგვინოვანი სისხლძარღვების ათეროსკლეროზულ დაზიანებასთან, ასევე მათ შევიწროების ხარისხთან [128].

ამრიგად ედს მეტად მნიშვნელოვან მარკერს წარმოადგენს არა მარტო რისკის შესაფასებლად, არამედ ათეროსკლეროზის გავრცელების და მისი ინტენსივობის განსაზღვრისათვის.

1.7 ლეიკოციტური ობოლი, ინფექციის ზემოქმედება

იმუნიტეტი

Patel და თანაავტორებმა Hp ინფიცირებულ პირებში არაინფიცირებულ კონტინგენტთან შედარებით ლეიკოციტების რიცხვის სარწმუნო მომატება ნახეს [137, 138]. სხვა ავტორების მონაცემებით H.Pylori ინფექცია ასოცირებულია სითბური შოკის ცილების 60/65 კონცენტრაციის მომატებასთან [19]. ჰელიკობაქტერი იწვევს აქტიურ ქრონიკულ ინფექციას, რომელსაც თან ახლავს ნეიტროფილების, T და B ლიმფოციტების და პლაზმური უჯრედების რაოდენობის მომატება [35]. სპეციფიკური უჯრედული იმუნური პასუხი იწვევს T ჰელპერების აქტივაციას [13], რაც თავის მხრივ განაპირობებს ილ-1, ილ-6-ის, ილ-8, TNF- α -ს და ინტერფერონ- γ -ს რაოდენობის მომატებას [126]. აღსანიშნავია, რომ Cag-A+ შტამები უფრო დიდ რაოდენობით ციტოკინების გამომუშავებას ასტიმულირებენ [176]. სწორედ ამიტომ H.Pylori-ს Cag-A შტამებთან ასოცირებულია ათეროსკლეროზული ფოლაქის დესტაბილიზაცია და იშემიური ინსულტის განვითარება [110].

ქლამიდიური ინფექცია ხასიათდება ქრონიკული მიმდინარეობით, რომლის დროსაც ზიანდება როგორც

ენდოთელური, ასევე გლუკოზნოვანი უჯრედები და ლეიკოციტები.

ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ CP აღმოჩენილი იქნა მწვავე კორონარული სინდრომის მქონე პაციენტების პერიფერიულ სისხლში მოცირკულირე მაკროფაგებში [96].

in vitro კვლევებით დადგინდა, რომ Cp იწვევს პერიფერიული სისხლის მონოციტების მიერ ციტოკინების პროდუქციას: TNF-a, ილ-1, ილ-6, ინტერფერონი, რომლებიც უშუალოდ ან არა-პირდაპირი მექანიზმებით იწვევენ ენდოთელის დაზიანებას [77]

გარდა ამისა ექსპერიმენტში ნაჩვენებია, რომ Cp ასტიმულირებს ადჰეზიური ფაქტორების პროდუქციას: E-სელექტინი, ენდოტელიალურ-ლეიკოციტური ადჰეზიის მოლეკულა-1, უჯრედშორისი ადჰეზიის მოლეკულა -1 ადამიანის ჭიპის ვენის ენდოთელური უჯრედების მიერ. [76]

შემდგომ Miller et al და Netea-მ დაადგინეს, რომ Cp -ით ინფიცირებული მაკროფაგები გამოყოფენ დიდი რაოდენობით ციტოკინებს TNF-a, ილ1, ილ-6, მაკროფაგების ანთებითი პროტეინი 1 (MCP-1), და ილ 12, ეს უკანასკნელი იწვევს ფოლაქის სტაბილიზაციის შემცირებას. [11, 38]

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ინფიცირებული

მაკროფაგებიდან ხდება ილ-10-ის გამოყოფა, რის შედეგადაც ფერხდება მაკროფაგების აპოპტოზი, ეს უკანასკნელი კი ინფექციის პერსისტირებას განაპირობებს [150].

kol et al, kruela კვლევებით დადაგინდა, რომ cr-ინფიცირებული მაკროფაგები გამოიმუშავებენ მაგრიცულ მეტალოპროტეინაზებს, რაც ფოლაქის დესტაბილიზაციას განაპირობებს [177, 16]

1.8 06ფექტის მკურნალობის გავლენა გიდ მიმდინარეობაზე

მას შემდეგ რაც აღინიშნა, რომ ინფექცია მონაწილეობს ათეროსკლეროზის პათოგენეზში მეცნიერები ცდილობენ ინფექციურ აგენტზე ზემოქმედებით შეამცირონ გიდ გართულებების რისკი და ტარდება კვლევები სადაც სწავლობენ ანტიბიოტიკების მოქმედების ეფექტს გიდ დროს.

Muhlestein-მა (1998) პირველად აჩვენა, რომ აზიტრომიცინით მკურნალობა აფერხებს ათეროსკლეროზის განვითარებას CP ინფიცირებულ პიპერლიპიდემიურ თაგვებში. [117] შემდგომ Fong et al (2000) ჩაატარა ექსპერიმენტი ბოცვრებში, რომელთაც არ ჰქონდათ პიპერლიპიდემია და ადმოჩნდა, რომ აზიტრომიცინი და როქსიტრომიცინი ასევე ეფექტურია ათეროსკლეროზის მსგავსი ცვლილებების პრევენციაში. პირდაპირი კავშირი ათეროსკლეროზსა და CP ინფექციას შორის აჩვენა ანტიბიოტიკობის გიდ პაციენტებში. [43]

Gupta და თანაავტორებმა გამოიკვლიერ მამაკაცები გადატანილი მი, რომელთაც აზიტრომოცინით ან პლაცებოთი მკურნალობის მოკლე კურსი ჩაუტარდათ. დადგინდა, რომ მათ CP საწინააღმდეგო ანტისეულების მაღალი ტიტრი აღენიშნებოდათ.

კარდიოვასკულარული შემთხვევების რისკი პლაცებოს ჯგუფში 28%-ია, ხოლო აზიტრომიცინის ჯგუფში 8% ($p=0,03$) [54]

ROXIS (Randomized trial of roxitromycin in non-Q-wave coronary syndromes) კვლევაში მონაწილეობდა არასტაბილური სტენკარდიისა და არა Q-კბილოვანი ინფარქტის მქონე 202 პაციენტი. პაციენტები მკურნალობდნენ როქსიტრომიცინით ან პლაცებოთი (150 მგ 2X დღეში 30 დღის განმავლობაში). 1 თვის მკურნალობის შემდგომ როქსიტრომიცინის ჯგუფის პაციენტების მხოლოდ 2 %-ს განუვითარდა განმეორებითი კარდიოვასკულარული შემთხვევები, ხოლო პლაცებოს ჯგუფის პაციენტების 9 %-ს ($p=0,032$), 6 თვის შემდეგ კი შედეგი ასეთი იყო-8,7% როქსიტრომიცინის ჯგუფში, 14,6% პლაცებოს ჯგუფში ($p=0,26$) [55]

J.Sinisalo და თანაავტორებმა გამოიკვლიერ დოქსიციკლინით ხანგრძლივი მკურნალობის ეფექტი ქრონიკული *Cp* ინფექციის მარკერების, გიდ რისკ-ფაქტორებისა და აზოტის ოქსიდის ბაზალურ დონესთან მიმართებაში. კვლევისათვის შეარჩიეს 34 არამწეველი მამაკაცი, რომელთაც გაკეთებული ჰქონდათ აორტო-კორონარული შუნგირება, აღენიშნებოდათ რბილი ჰიპერტენზია და ზომიერი ჰიპერჟენეზი. რანდომიზაციის შემდგომ პაციენტებს ეძლეოდათ დოხიციკლინი ან პლაცებო. კვლევის

შედეგად დადგინდა, რომ დიქსიციკლინით მონოთერაპია არაეფექტურია ქრონიკული *Cp* ინფექციის ერადიკაციისთვის [154].

ACADEMIC (Azytromycine in coronary artery disease: Elimination of myocardial infection with Chlamydia) კვლევაში მონაწილეობდა 302 პაციენტი (ჩართვის კრიტერიუმებია: გადატანილი მი, აორტოკორონარული შუნტირება, ანგიოგრაფიულად დადასტურებული კორონარული არტერიების რომელიმე ტოტის სტენოზი 50%-ზე მეტად) რომელთა სისხლში ანტი ქლამიდიური იმუნოგლობულინის კონცენტრაცია იყო $> 1:16$. პაციენტებს აზიტრომიცინი ეძლეოდათ შემდეგი სქემით: 500 მგ დღედამეში 3 დღის განმავლობაში, შემდგომ 500 მგ კვირაში- 3 თვის განმავლობაში. 24 კვირიანი მკურნალობის შემდგომ გამოვლინდა სისხლში ანთებითი მარკერების დაქვეითება, თუმცა არასარწმუნოდ [88].

კვლევაში STAMINA (South Thames Trial of Antibiotics In myocardial infarction and Unstable angina) მონაწილეობდა მი ან არასტაბილური სტენოკარდიის მქონე 325 პაციენტი, რომლებიც რანდომიზაციით დაიყო სამ ჯგუფად და შესაბამისად იღებდნენ: (1) პლაცებოს, (2) ამოქსიცილინი (500 მგ 2X დღე-დამეში) + მეტრონიდაზოლი (400 მგ 2X დღე-დამეში) + ომეპრაზოლი (20 მგ 2X დღე-დამეში) ან (3) აზიტრომიცინი (500 მგ 2X დღე-დამეში) +

მეტრონიდაზოლი (400 მგ 2X დღე-დამეში) +ომეპრაზოლი (20 მგ 2X დღე-დამეში). კვლევის შედეგად სარწმუნოდ დაიკლო CRP, ფიბრინოგენის კონცენტრაციამ და ლეიკოციტების რიცხვმა ანტიბიოტიკების ორივე ჯგუფში. ასევე მნიშვნელოვნად დაბალი იყო გულ-სისხლძარღვთა გართულებების სიხშირე ანტიბიოტიკების ორივე ჯგუფში პლაცებოსთან შედარებით. [135]

კვლევაში CLARIFY (Clarithromycin in Acute Coronary Syndrome patients in Finland) მონაწილეობდა 148 პაციენტი არა Q-კბილოვანი მი და არასტაბილური სტენოკარდიით. ისინი მკურნალობდნენ კლარიტრომიცინით ან პლაცებოთი 85 დღის განმავლობაში. კვლევის შედეგად სარწმუნო განსხვავება არ აღინიშნა პირველი 3 თვის განმავლობაში (პირველადი საბოლოო წერტილი), საბოლოოდ კი აღინიშნა გიდ გართულებების შემცირება აზიტრომიცინის ჯგუფში პლაცებოსთან შედარებით [153].

დიდ პროსპექტულ კვლევაში ACES (Azitromycin and Coronary event Study) მონაწილეობდა 4012 გიდ პაციენტი რომელიც დებულობდა 600 მგ აზიტრომიცინს კვირაში ან ოლაცებოს ერთი წლის განმავლობაში. კვლევამ დაადგინა რომ აზიტრომიცინით ერთ წლიანი მკურნალობა არ იწვევს გულსისხლძარღვთა გართულებების შემცირებას გიდ პაციენტებში [67].

II. მასალა და მეთოდები

2.1 კლინიკური მასალის დახასიათება

კვლევაში მონაწილეობდა 153 პირი. კლინიკურ ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე პაციენტები განაწილებული იყო ოთხ ძირითად ჯგუფში: I ჯგუფში გაერთიანებული იყო 60 პაციენტი (24 ქალი და 36 მამაკაცი, საშუალო ასაკი $60,9 \pm 10,3$ წელი) გიდ და თანმხლები ჰელიკობაქტერიული ($n=32$, საშ. ასაკი $59,7 \pm 13,3$ წელი) ან ქლამიდიური ($n=28$, საშ. ასაკი $62,9 \pm 10,2$ წელი) ინფექციით. გიდ დიაგნოზი დადასტურებული იქნა ანამნეზით, კლინიკური მონაცემებით, გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტით, ფიზიკური დატვირთვის ტესტით ან კორონაროანგიოგრაფიით, ხოლო ინფექციების არსებობა ლაბორატორიული გამოკვლევებით.


ცხრილი №1. საკვლევ პირთა განაწილება ჯგუფებში

ჯგუფი	პაციენტთა რაოდენობა	საშუალო ასაკი	მამაკაცი	ქალი
I	60	$60,9 \pm 10,3$	36	24
II	36	$61,3 \pm 12,3$	20	16
III	37	$60 \pm 15,9$	18	19
IV	20	$62,1 \pm 7$	9	11

II ჯგუფში გაერთიანებული იყო 36 პაციენტი გიდ (საშუალო ასაკი $61,3 \pm 12,3$ წელი), რომელთაც არ აღენიშნებოდათ აღნიშნული და სხვა ინფექციები.

III ჯგუფი წარმოდგენილი იყო 37 პაციენტით (საშუალო ასაკი $60\pm15,9$ წელი), რომელთაც აღენიშნებოდათ ჰელიკობაქტერიული ($n=19$) ან ქლამიდიური ($n=18$) ინფექცია და არ ჰქონდათ გიდ.

IV (საკონტროლო) ჯგუფში გაერთიანებული იყო 20 პრაქტიკულად ჯანმრთელი პირი (საშუალო ასაკი $62,1\pm7$ წელი), რომელთაც გიდ და ინფექცია გამოერიცხათ კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევებით.



ინფექციის გამომწვევის მიხედვით I და III ჯგუფი დაიყო ორ-ორ ქვეჯგუფად: კერძოდ Iა ქვეჯგუფს შეადგენდა ქლამიდიური ინფექციის მქონე 28 პაციენტი, Iბ ქვეჯგუფში გაერთიანებული იყო ჰელიკობაქტერიით დაინფიცირებული 32 პირი, IIIა და IIIბ ქვეჯგუფი წარმოდგენილი იყო ქლამიდიური და ჰელიკობაქტერიული ინფექციის მქონე შესაბამისად 21 და 22 პირით.

გამოკვლევებში არ მონაწილეობდნენ პაციენტები ჟაქრიანი დიაბეტით, არტერიული პიპერტენზით (II-JNC7), გულის უკმარისობით (III-IV ფა (NYHA)) დგიძლის, თირკმელებისა და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებით. აგრეთვე ის ავადმყოფები რომლებიც ბოლო ორი თვის განმავლობაში იღებდნენ სტატინებს. გამოკვლეულ პაციენტებს ბოლო 2 თვის განმავლობაში არ აღენიშნებოდათ სხვა ანთებითი დაავადებები და ქირურგიული ჩარევები.

გამოკვლევაში ჩართული პირების კლინიკურ-ინსტრუმენტული კვლევა ითვალისწინებდა, დაავადების ანამნეზს, გიდ რისკ-ფაქტორების დადგენას (ასაკი, არტ-პიპერტენზია, ჭარბი წონა, თამბაქო), რომლის მიხედვითაც ჯგუფები ერთგვაროვანი იყო. გიდ ფუნქციური კლასის განსაზღვრა ხდებოდა კანადის კლასიფიკაციით, გულის უკმარისობისა-ნიუ-იორკის (NYHA) კლასიფიკაციით, არტერიული პიპერტენზიისა JNC-7-ის კლასიფიკაციით, აღნიშნული საფუძველზე მოხდა გიდ ჯგუფებში გერთიანებულ პაციენტთა კლინიკური შეფასება. გიდ პაციენტების 35% აღენიშნებოდა სტაბილური სტენოკარიდია I ფა, 23,4% სტაბილური სტენოკარდია II ფა, 19,5%- სტაბილური სტენოკარდია III ფა, 24% პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი. ავადმყოფები იმყოფებოდნენ სტანდარტულ მედიკამენტოზურ მკურნალობაზე: ბეტა ბლოკერი (75%), აგვინტიბიტორი (38%), შარდმდენი (35%), ნიტრატი (15%).

ინფიცირებული გიდ პაციენტები (I ჯგუფი) რანდომიზაციით
დაიყო 3 ქვეჯგუფად: A ქვეჯგუფს ეძლეოდა მხოლოდ სტატინი, B-
უტარდებოდა ანტიმიკრობული თერაპია, ხოლო C- ქვეჯგუფს
სტატინთან ერთად ეძლეოდა ანტიბაქტერიული პრეპარატები.

გიდ პაციენტებს ჩაუტარდათ მკურნალობა ლიპიდდამწევი
მედიკამენტებით, კერძოდ 20 მგ ატორგასტატინით. ხოლო
ინფიცირებულ გიდ არ მქონე პაციენტებს ჩაუტარდა ერადიკაციული
თერაპია.

ჰელიკობაქტერის საწინააღმდეგო მკურნალობა ხდებოდა
მასტრიხტ-2-ის კონფერენციაზე რეკომენდირებული სქემის მიხედვით
(Malfertheiner P, et al, 2002) პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორი
(შესაბამისი დოზით) X2 + კლარიტრომიცინი 500 მგ X2 +
მეტრონიდაზოლი 500 მგ X2. მკურნალობა გრძელდებოდა არანაკლებ
7 დღისა. ანტიქლამიდიური მკურნალობა ტარდებოდა შემდეგი
სქემით აზიტრომიცინი 500 მგ დღედამეში 3 დღის განმავლობაში,
შემდგომ 500 მგ კვირაში ერთხელ -3 თვის განმავლობაში. ლიპიდ-
დამწევი მკურნალობა ტარდებოდა ატორგასტატინით 20 მგ დღე-
დამეში.

2.2. პლინიკური კვლევის მეთოდების დახასიათება

მასის ონდექსის - მი (კეტლის ონდექსი) დასადგენად განვსაზღვრეთ საკვლევ პირთა სიმაღლე და წონა. მი გამოსათვლელად გამოვიყენეთ შემდეგი ფორმულა:

$$\text{მი} = \frac{\text{წონა}}{\text{კგ}} / \text{სიმაღლე} (\text{მ})^2$$

გამოვიკვლიეთ სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევა, გულის შეკუმშვათა სიხშირე (გმს).

2.3. ბიოქიმიური კვლევის მეთოდები

ბიოქიმიური პარამეტრებიდან სისხლის შრატში განისაზღვრა ლიპიდური სპექტრი (უზმოზე 13 საათიანი შიმშილის შემდეგ): საერთო ქოლესტერინის (სქ) ვიკვლევდით ენზიმური მეთოდით (Cholesterol CHOD-PAP Kit, Code SFBC:E6. BIOLABO, France) სპექტროფორეტურ JENWAY-6400-ის მეშვეობით, ტრიგლიცერიდები (ტგ) – GPO Kit, Code SFBC:KO, BOPLABO France, ხოლო მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (მსლქ) განსაზღვრა ხდებოდა დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის (დსლქ) და ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის (დსლქ) პრეციპიტაციის შემდეგ (HDL Cholesterol (Precipitant) SFBC Code: MI, BIOLABO, France). ძდსლქ განისაზღვრა ფორმულით: ტგ/დლ (მგ/დლ) (Виноградов А.В. Клинов А.Н., 1987), ხოლო დსლქ - Friedwald-ის (1972)

ფორმულით: $\frac{\text{დსლქ}}{\text{მსლქ}} = \frac{\text{მსლქ}}{\text{დსლქ} + \text{მდსლქ}}$ (Климов А.Н., Никулчева Н.Г., 1995), ათეროგენობის ინდექსი (აი) - ფორმულით $\alpha_i = \frac{\text{დსლქ}}{\text{მსლქ}}$.

C რეაქტიული ცილა (CRP) - იმუნოფერმენტული მეთოდით, ფიბრინოგენი - გრავიმეტრიული (Rutberg) მეთოდით.

2.4 კვლევის იმუნოფერმენტული მეთოდების დახასიათება

ანტიქლამიდიური Ig-G ისაზღვრებოდა ELISA მეთოდით (Diagnostic automatic ELISA. USA). ქლამიდიური ინფექციის არსებობა დასტურდებოდა, როდესაც IgG მნიშვნელობა საკონტროლო შრატოან შედარებისას აღემატებოდა 1,1-ს.

ანტი ჰელიკობაქტერიული Ig-G ისაზღვრებოდა ELISA მეთოდით (ImmunoLISA, ISRAEL). ჰელიკობაქტერიული ინფექციის არსებობა დასტურდებოდა, როდესაც IgG მნიშვნელობა საკონტროლო შრატოან შედარებისას აღემატებოდა 1,1-ს.

ჰელიკობაქტერული ინფექციის დასადასტურებლად გამოყენებული იყო ურეაზული ტესტი, ჰისტოლოგიური გამოკვლევა, სწრაფი იმუნოქრომატოგრაფიული და იმუნოფერმენტული მეთოდი.

სწრაფი იმუნოქრომატოგრაფიული მეთოდით ხდებოდა HP საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა შრატში ან პლაზმაში (Care diagnostica, AUSTRIA). სისხლის აღება ხდებოდა ანტიკოაგულანტების დამატების გარეშე. ოთახის ტემპერატურაზე სისხლის შედედების შემდეგ ხდებოდა მისი ცენტრიფუგირება და


შრატის მოთავსება შუშის ფლაკონში. შემდეგ პიპეტით აღებული სინჯი კასეტაზე არსებულ საკვლევ მოედანზე თავსდებოდა და ემატებოდა ბუფერული ხსნარის 7 წვეთი. ტესტი ითვლებოდა დადებითად, თუ კასეტაზე არსებულ რეაქციის ვალზე 10 წთ-ის განმავლობაში ჩნდებოდა იისფერი ხაზი.

2.5. სტატისტიკური ანალიზი

მიღებული ციფრობრივი მონაცემები შეტანილ იქნა Exell -2003 სტატისტიკური პროგრამების მონაცემთა ბაზაში და დამუშავდა SPSS -12 პროგრამის სტატისტიკური პაკეტის გამოყენებით. კვლევის ყველა პარამეტრზე ყოველ ჯგუფში ვითვლიდით საშუალო მაჩვენებელს $M+SD$ (M -საშუალო SD -სტანდარტული გადახრა). მონაცემთა სარწმუნოების ანალიზისთვის გამოვიყენეთ სტიუდენტის t ტესტი ($p \leq 0,05$). ყოველი პარამეტრისათვის კორელაცია ტესტირდებოდა Pearson მეთოდით.

III. მიღებული შედეგები


გამოკვლეულ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ გამოვლენილა ასაკის მიხედვით (I ჯგუფი $60,9 \pm 10,3$ წელი, II ჯგუფი $61,3 \pm 12,3$ წელი, III ჯგუფი $60 \pm 15,9$ წელი, IV ჯგუფი $62,1 \pm 7$)



ჯგუფი	მასის ინდექსი	სისტოლური წნევა	დიასტოლური წნევა	პულსი
I M±SD	26.36 ± 3.4	148.1 ± 8.7	89.4 ± 7.2	75.4 ± 8.9
II M±SD	25.47 ± 5.2	145.2 ± 13.9	86.5 ± 8.5	73.1 ± 15.4
III M±SD	26.41 ± 3.6	125.3 ± 9.9	80.8 ± 9.7	76.7 ± 8.1
IV M±SD	24.6 ± 7.4	121.4 ± 4.5	77.4 ± 6.1	74.4 ± 6.9
p - I/II	ns	ns	ns	ns
p-I/III	ns	0.01	0.01	ns
p-I/IV	ns	0.001	0.001	ns
p-II/III	ns	0.05	0.05	ns
p-II/IV	ns	ns	ns	ns
p-III/IV	ns	0.005	0.01	ns

სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა არ გამოვლენილა მასის ინდექსისა და პულსის მაჩვენებლებში არცერთ ჯგუფს შორის. რაც შეეხება არტერიულ წნევას სისტოლური წნევის მაჩვენებლებში სარწმუნო სხვაობა აღინიშნა I და III, I და IV, II და III, II და IV ჯგუფებს შორის. მსგავსი ცვლილება აღინიშნა დიასტოლური წნევის მაჩვენებლებშიც.

ლიპიდური ცვლის მაჩვენებლები
ლიპიდური სპექტრის შესწავლისას გამოვლინდა, რომ
საკონტროლო ჯგუფთან შედარებით $(183,5 \pm 36,2 \text{ მგ/დლ})$ სქ
მაჩვენებელი I ჯგუფში $(248,4 \pm 39,1 \text{ მგ/დლ})$ მაღალია 35,2%-ით, II
ჯგუფში $(236,3 \pm 43,8 \text{ მგ/დლ})$ 28,7%-ით, ხოლო III ჯგუფში $(226,7 \pm 36,9 \text{ მგ/დლ})$ 23,5%-ით. ეს განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა
($P < 0,001$ სამივე ჯგუფში).



დსლქ მაჩვენებლების შედარებისას საკონტროლო ჯგუფის
 $(109,6 \pm 34,6 \text{ მგ/დლ})$ მაჩვენებლებთან გამოვლინდა I ჯგუფში
 $(177,2 \pm 41,8 \text{ მგ/დლ})$ 38%-ით, II ჯგუფში $(158,9 \pm 36 \text{ მგ/დლ})$ 30%-ით,


ცხრილი №2: ლიპიდური სპექტრის მაჩვენებლები ჯგუფების მიხედვით

	სქ (მგ/დლ)	დსლქ (მგ/დლ)	მსლქ (მგ/დლ)	ტბ (მგ/დლ)	ათ
I ჯგუფ M±SD	$248,4 \pm 39,1$	$177,2 \pm 41,8$	$44 \pm 9,4$	$159,5 \pm 64,8$	$4,7 \pm 1,7$
II ჯგუფ M±SD	$236,3 \pm 43,8$	$158,9 \pm 36$	$43 \pm 10,51$	$148 \pm 54,9$	$4,37 \pm 1,6$
III ჯგუფ M±SD	$226,7 \pm 36,9$	$145,2 \pm 41,6$	$49,69 \pm 9,7$	$143,3 \pm 23,36$	$4,1 \pm 1,8$
IV ჯგუფ M±SD	$183,5 \pm 36,2$	$109,6 \pm 34,6$	$51,4 \pm 9,3$	$125,9 \pm 37,8$	$2,9 \pm 1,1$
p-I/II	ns	<0,05	ns	ns	ns
p-I/III	<0,05	<0,005	<0,05	ns	ns
p-I/IV	<0,001	<0,001	<0,001	<0,001	<0,001
p-II/III	ns	ns	ns	ns	ns
p-II/IV	<0,001	<0,001	<0,05	<0,05	<0,001
p-III/IV	<0,001	<0,001	<0,05	<0,05	<0,001

შენიშვნა: ს-საუროო ქოლებების, ტბ- ტრიგლიცერიდები, მსლ-ძ -მაღალი ხიდკვრივის ლიპოპროტეინების ქოლებების, დსლ-ძ -დაბალი ხიდკვრივის ლიპოპროტეინების ქოლებების, ათ-ათეროზებობის ინდექსი, M-საშუალო, SD-სტანდარტული გადახრა. P-სარწმუნოების კოეფიციენტი, ns-სტატისტიკურად არასარწმუნო განსხვავება.


ხოლო III ჯგუფში $(145,2 \pm 41,6 \text{ მგ/დლ})$ 25%-ით მაღალი მაჩვენებლები, რაც ასევე სტატისტიკურად სარწმუნოა ($P<0,001$, $P<0,001$, $P<0,001$ შესაბამისად).

მსლებ მაჩვენებლები საკონტროლო ჯგუფში ($51,4 \pm 9,3$ მგ/დლ) სარწმუნოდ მაღალია I ($44 \pm 9,4$ მგ/დლ), II ($43 \pm 10,5$ მგ/დლ) და III ($49,69 \pm 9,7$ მგ/დლ) ჯგუფებთან შედარებით ($P < 0,01$, $P < 0,05$, $P < 0,05$ შესაბამისად).



ტბ მაჩვენებლები საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლებთან შედარებით სარწმუნოდ მაღალია სამივე ჯგუფში, კერძოდ

საკონტროლოსთან შედარებით I ჯგუფში ტგ მაჩვენებელი მაღალია 21%-ით ($159,5 \pm 64,8$ მგ/დლ, $P < 0,001$), II ჯგუფში 14,9%-ით ($148 \pm 54,9$ მგ/დლ, $P < 0,05$), ხოლო მესამეში - 12,1 %-ით ($143,3 \pm 23,36$ მგ/დლ, $P < 0,05$).



თავად ცალკეული ჯგუფების ერთმანეთთან შედარებისას I და II ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება გამოვლინდა დანართების შორის ($P < 0,05$), I და III ჯგუფების შედარებისას სქ ($P < 0,05$), დანართების შორის ($P < 0,005$), და მსლების შორის, ხოლო II და III ჯგუფების შედარებისას სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ლიპიდური სპექტრის მაჩვენებლებს შორის არ გამოვლენილა.

რაც შეეხება ქვეჯგუფებს Iა და Iბ ქვეჯგუფებს შორის სარწმუნო განსხვავება გამოვლინდა სქ მაჩვენებელს შორის ($P < 0,01$), კერძოდ Iბ ($260,5 \pm 34,7$ მგ/დლ) ქვეჯგუფში სქ დონე $8,25\%$ -ით მაღალია Iა ქვეჯგუფის ($237,3 \pm 38,3$ მგ/დლ) დონესთან შედარებით. IIIბ

ქვეჯგუფში სქ დონე (234,5±36,5 მგ/დლ) სარწმუნოდ მაღალია IIIა ქვეჯგუფის (218,3±23 მგ/დლ) დონესთან შედარებით ($P<0,05$).

დსლქ მაჩვენებელი ქვეჯგუფებში წარმოდგენილია შემდეგი სახით Iა ქვეჯგუფი- $170,2\pm37,4$ მგ/დლ, Iბ- $187,2\pm41,3$ - მგ/დლ, IIIა- $140,2\pm42,6$ -მგ/დლ, IIIბ- $150,6\pm42,5$ მგ/დლ. სარწმუნო განსხვავება ქვეჯგუფებში დსლქ მაჩვენებლის მიხედვით არ გამოვლინდა.

მსლქ მაჩვენებელი ქვეჯგუფებში წარმოდგენილია შემდეგი სახით Iა ქვეჯგუფი- $43,3\pm9,2$ მგ/დლ, Iბ- $47\pm11,2$ - მგ/დლ, IIIა- $48,3\pm10,4$ - მგ/დლ, IIIბ- $52,1\pm10$ მგ/დლ. სარწმუნო განსხვავება ქვეჯგუფებში მსლქ მაჩვენებლის მიხედვით არ გამოვლინდა.




რაც შეეხება ტბ მაჩვენებელს, ისინი ქვეჯგუფებში


ცხრილი №3: ლიპიდური სპექტრის მაჩვენებლები ქვეჯგუფების მიხედვით

	სქ (მგ/დლ)	დსლქ (მგ/დლ)	მსლქ (მგ/დლ)	ტბ (მგ/დლ)	აი
Iა ქვეჯგუფი M±SD	$237,3\pm38,3$	$170,2\pm37,4$	$43,3\pm9,2$	$146,4\pm78,9$	5 ± 2
Iბ ქვეჯგუფი M±SD	$260,5\pm34,7$	$187,2\pm41,3$	$47\pm11,2$	$171,1\pm48$	$4,5\pm1,5$
p-Iა/Iბ	<0,01	ns	ns	ns	ns
IIIა ქვეჯგუფი M±SD	$218,3\pm23$	$140,2\pm42,6$	$48,3\pm10,4$	$141,9\pm16,3$	$3,9\pm1,4$
IIIბ ქვეჯგუფი M±SD	$234,5\pm36,5$	$150,6\pm42,5$	$52,1\pm10$	$138\pm33,1$	$4,1\pm1,2$
p-IIIა/IIIბ	<0,05	ns	ns	ns	ns

შენიშვნა: *Iა-საუროო ქოლებებერინი, ტბ- ტრიგლიცერიდები, მსლ-ძ -ძალადი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლებებერინი, დსლ-ძ -დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლებებერინი, აი -ათეროგენობის ინდიკირი, M -საჭალო, SD- სტანდარტული გადახრა. P-სარწმუნოების კოეფიციენტი, ns-სტატისტიკურად არასარწმუნო განსხვავება.*

წარმოდგენილია შემდეგი სახით Iა ქვეჯუფი- $146,4\pm78,9$ მგ/დლ, Iბ- $171,1\pm48$ - მგ/დლ, IIIა- $141,9\pm16,3$ -მგ/დლ, IIIბ- $138\pm33,1$ მგ/დლ. სარწმუნო განსხვავება ქვეჯუფებში არც ტბ მაჩვენებლის მიხედვით გამოვლინდა.





ანთების მარკერები

როგორც თანამედროვე კვლევის შედეგები ამტკიცებს, ანთებითი ცილები და ედს გიდ გამწვავების მნიშვნელოვან პროგნოზულ მარკერებად ითვლება (Eriksson G., at al 2000; Isahwarlal et al. 2004). მათგან ჩვენ გამოვიყვლიეთ C რეაქტიული ცილა, ფიბრინოგენი და ერითროციტების დალექვის სიჩქარე.

ანთების მარკერების პარამეტრები ჯგუფებისა და ქეშაზუფების მიხედვით მოცემულია ცხრილში №4 და №5.

ანთების მარკერების შესწავლისას გამოვლინდა, რომ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (2.6 ± 1.2 მგ/დლ) CRP მაჩვენებელი I (8.1 ± 2.3 მგ/დლ) ჯგუფში 67%-ით მაღალია, II ჯგუფში (6.5 ± 2.9 მგ/დლ) 60%-ით, ხოლო III-ში (4.7 ± 2.3 მგ/დლ) 41%-ით. ეს განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა ($p < 0.005$, $p < 0.01$, $p < 0.05$ შესაბამისად). ხოლო ფბ მაჩვენებლების შედარებისას საკონტროლო ჯგუფის

($344,8 \pm 84,3$ გ/ლ) მაჩვენებლებთან გამოვლინდა, რომ I ჯგუფში ეს მაჩვენებელი 29%-ით მაღალია ($486,8 \pm 116,1$ გ/დლ), II ჯგუფში 16 %-ით ($411,8 \pm 107,2$ გ/დლ), ხოლო მესამეში 15%-ით საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. რაც სტატისტიკურადაც სარწმუნოა ($p < 0,005$, $p < 0,01$, $p < 0,05$ შესაბამისად). ედს საკონტროლო ჯგუფთან შედარებით I ჯგუფში 39%-ით მაღალია, რაც სტატისტიკურად სარწმუნოა ($p < 0,005$)

ცხრილი №4: ანთების მარტერების მაჩვენებლები ჯგუფების მიხედვით

	ფბ (გ/ლ)	CRP (მგ/დლ)	ედს (მმ/სთ)	IgG (index)
I ჯგუფ M±SD	$486,8 \pm 116,1$	$8,1 \pm 2,3$	$20,3 \pm 12,5$	$1,7 \pm 0,52$
II ჯგუფ M±SD	$411,8 \pm 107,2$	$6,5 \pm 2,9$	$13,2 \pm 8,3$	$0,74 \pm 0,23$
III ჯგუფ M±SD	$406,7 \pm 89,7$	$4,7 \pm 2,3$	$15,8 \pm 9,5$	$1,8 \pm 0,37$
IV ჯგუფ M±SD	$344,8 \pm 84,3$	$2,6 \pm 1,2$	$12,3 \pm 4,2$	$0,64 \pm 0,35$
p-I/II	<0,001	<0,05	<0,05	<0,005
p-I/III	<0,01	<0,01	<0,01	ns
p-I/IV	<0,005	<0,005	<0,005	<0,001
p-II/III	ns	ns	ns	<0,005
p-II/IV	<0,01	<0,01	ns	ns
p-III/IV	<0,05	<0,05	ns	<0,001

შენიშვნა: CRP-C რეაქტიული ცილი, ფბ-ფიბრინოგენი, ედს- ერითროციტების დალექცის სიჩარუ, M -საშუალო, SD- სტანდარტული გადახრა. P- სარწმუნოების კოეფიციენტი, ns-სტატისტიკურად არასარწმუნო განსხვავება.

IgG მაჩვენებელი I ჯგუფში ($1,7 \pm 0,52$) სარწმუნოდ მაღალია II ($0,74 \pm 0,23$, $P < 0,005$) და IV ჯგუფებთან ($0,64 \pm 0,35$, $P < 0,001$) შედარებით, ასევე მესამე ჯგუფში ($1,8 \pm 0,37$) ეს მაჩვენებელი სარწმუნოდ მაღალია II და IV ჯგუფის მაჩვენებლებთან შედარებით ($P < 0,005$, $P < 0,001$ შესაბამისად).




ცალკეული ჯგუფების ერთმანეთთან შედარებისას: I და II ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა გამოვლინდა CRP ($p < 0,05$), ფბ ($p < 0,001$) და ედს ($p < 0,05$) შორის. I და III ჯგუფების შედარებისას სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა დაფიქსირდა CRP ($p < 0,01$), ფბ ($p < 0,01$) და ედს ($p < 0,01$) შორის.




რაც შეეხება ქვეჯგუფებს, I_a და I_b, III_a და III_b ქვეჯგუფებს შორის ამ პარამეტრების მიხედვით სტატისტიკური სხვაობა არ გამოვლენილა.

ცხრილი №5: ანთებითი მარკერების მაჩვენებლები ქვეჯგუფების მიხედვით

	ფბ (გ/ლ)	CRP (მგ/დლ)	ედს (მმ/სთ)	IgG (index)
I _a ქვეჯგუფი $M \pm SD$	$499,7 \pm 121,8$	$7,7 \pm 2,5$	$16,3 \pm 2,5$	$1,74 \pm 0,59$
I _b ქვეჯგუფი $M \pm SD$	$477,7 \pm 113,5$	$8,4 \pm 1,9$	$14,5 \pm 5,6$	$1,66 \pm 0,45$
p-I _a /I _b	ns	ns	ns	ns
III _a ქვეჯგუფი $M \pm SD$	$402 \pm 62,5$	$5 \pm 2,5$	$9 \pm 3,2$	$1,72 \pm 0,32$
III _b ქვეჯგუფი $M \pm SD$	$410 \pm 62,3$	$4,9 \pm 1,3$	$12 \pm 2,3$	$1,84 \pm 0,45$
p-III _a /III _b	ns	ns	ns	ns

შენიშვნა: CRP-C რეაქტიული ცილა, ფბ-ფიბრინოგენი, ედს- ერითროციტების დალექცის ხიხარჯ, M - საშუალო, SD - სტანდარტული გადახრა. P-სარწმუნოების კოეფიციენტი, ns-სტატისტიკურად არასარწმუნო განსხვავება.





ინფიცირებული გიდ პაციენტების მკურნალობის შედეგები
მკურნალობის შედეგები მოცემულია ცხრილში №6 და №7
მკურნალობის შემდგომ H.Pylori ერადიკაცია აღინიშნა 76,4%-ში
ხოლო C.Pneumoniae კი 74,3%-ში, რაც დადასტურდა ანტისექულების
ტიტრის ნორმამდე დაქვეითებით.

როგორც ცხრილიდან ჩანს ჩატარებული მკურნალობის
შედეგად სამივე ქვეჯგუფში სარწმუნოდ შემცირდა სქ რაოდენობა,
კერძოდ A ქვეჯგუფში 248,4 მგ/დლ-დან 183,3 მგ/დლ-მდე (p<0,01). Iგ
ქვეჯგუფში 208,5 მგ/დლ-მდე (p<0,05), ხოლო Iგ ქვეჯგუფში 173,1
მგ/დლ-მდე (p<0,001), შესაბამისად სტატინებით მკურნალობისას სქ
დაიკლო 26%-ით, ანტიბიოტიკებით მკურნალობისას 16%-ით და
კომბინირებული მკურნალობის დროს 30%-ით.

**ცხრილი 6: ლიპიდური სპექტრის მაჩვენებლები მკურნალობამდე და
მკურნალობის შემდეგ**


	სქ (მგ/დლ)	ღსლ-ქ (მგ/დლ)	ტბ (მგ/დლ)	მსლ-ქ (მგ/დლ)
I ჯგუფი მკურნალობამდე	248,4±39,1	177,2±41,8	159,5±64,8	44 ±9,4
A ქვეჯგუფი მკურნალობა სტატინებით	183,3±25	107,2±13,4	131±34,4	50 ±14
B ქვეჯგუფი მკურნალობა ანტიბიოტიკებით	208,5±15	139,3±31	146,9±30	49,4±8,9
C ქვეჯგუფი მკურნალობა სტატინებით და ანტიბიოტიკებით	173,1±18	95,4±13	130,1±35	52,3±11,1
P* I/A	0,01	0,01	na	na
P** I/ B	0,05	0,05	na	na
P*** I/ C	0,001	0,001	na	na

შენიშვნა: სქ-საერთო ქოლესტერინი, ტბ- ტრიგლიცერიდები, მსლ-ქ -მაღალი სიბერივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი, ღსლ-ქ -ღაბალი სიბერივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი, CRP- C-რეაქტიული ცილა, ზბ-ფიბრინოგენი, M - საშუალო, SD- სტანდარტული გადახრა. P-სარწმუნოების კოეფიციენტი

ცხრილი 7: ანთების მარკერების მაჩვენებლები მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ

	ვბ (ბ/ლ)	CRP (ბბ/ლ)	ელს (მმ/სლ)	IgG (index)
I ჯგუფი მკურნალობამდე	486,8±116	8,1±2,3	15,1±10,5	1,7±0,52
A ქვეჯგუფი მკურნალობა სტატინებით	410±60	6,2±1,9	12,3±9,8	1,5 ±0,43
B ქვეჯგუფი მკურნალობა ანტიბიოტიკებით	420±50	6,8±2,1	10,3±7,8	0,7±0,22
C ქვეჯგუფი მკურნალობა სტატინებით და ანტიბიოტიკებით	350±70	5,6±1,62	7,5±4,2	0,6±0,31
P* I/A	0.01	0.05	ns	ns
P** I/B	ns	ns	ns	0.01
P*** I/C	0.001	0.01	0.05	0.01

შენიშვნა: CRP-C რეაქტიული ცილა, ფბ-ფიბრინოგენი, ედს- ერიოროციტების დალექცის სიჩქარე, M -საშუალო, SD- სტანდარტული გადახრა. P-სარწმუნოების კოეფიციენტი, ns-სტატისტიკურად არასარწმუნო განსხვავება.



სამივე ქვეჯგუფში დსლქ-ის კონცენტრაცია სარწმუნოდ შემცირდა, კერძოდ A ქვეჯგუფში 34%-(p<0,01), B ქვეჯგუფში 21% (p<0,05) და C ქვეჯგუფში 40% (p<0,001).

სამივე ქვეჯგუფში აღინიშნა მსლქ რაოდენობის მატების ტენდენცია, თუმცა სტატისტიკურად სარწმუნოდ ამ მაჩვენებელს არცერთ ჯგუფში არ მოუმატია.

მკურნალობის შემდეგ ანთებითი მარკერების კონცენტრაცია შემცირდა. ამასთან ფიბრინოგენმა სარწმუნოდ დაიკლო A ქვეჯგუფში 486.8 გ/ლ-დან 410 გ/ლ -მდე ($p<0,001$) და I_d ქვეჯგუფში 486.8 გ/ლ -დან 350 გ/ლ -მდე ($p<0,01$).

CRP A ქვეჯგუფში დაიკლო 19 %-ით ($p<0,05$), bოლო B ქვეჯგუფში 26%-ით ($p<0,01$).

IV. განხილვა

ათეროსკლეროზმა, როგორც ტერმინმა ათწლეულების განმავლობაში შინაარსობრივად მთელი რიგი ცვლილებები განიცადა.

Marchard-მა პირველად განსაზღვრა ათეროსკლეროზი, როგორც პათოფიზიოლოგიური ცვლილებების ერთიანობა და გამოყო მისი ორი ძირითადი მახასიათებელი: ცხიმოვანი ნივთიერებების დაგროვება და არტერიის შიგნითა შრის-ინტიმას სკლეროზი. არტერიის კედელზე განვითარებული ცვლილებები აღწერილია მორგანისა და კრუველიეს მიერ ჯერ კიდევ 200 წლის წინ.

ათეროსკლეროზის ქოლესტერინულმა თეორიამ, რომელიც გასულ საუკუნეში ანიჩკოვის მიერ იქნა მოწოდებული, დროის გამოცდას კარგად გაუძლო. ა.მიასნიკოვი თვლიდა, რომ ათეროსკლეროზი ლიპიდურ-ცხიმოვანი ცვლის ვისცერულ-კორტიკული რეგულაციის მოშლით მიმდინარე სისტემური დაზიანებაა.

ე. ჩაზოვმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ათეროსკლეროზის არსი, კერძოდ დაადგინა, რომ ათეროსკლეროზი ვითარდება სისხლძარღვთა კედელზე მიმდინარე ბიოქიმიური და

ბიოფიზიკური პრიცესების შედეგად (დისლიპიდემია, თრომბწარმომქმნელი ფუნქციის მოშლა)

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ქოლესტერინულ თეორიას სხვა მოსაზრებებიც დაუპირისპირდა. ვ.ტიტოვის შრომების მიხედვით ათეროსკლეროზის პათოგენეზის საფუძველს წარმოადგენს ბიოქიმიური პროცესები- პოლიენური ცხიმოვანი მჟავების აქტიური ტრანსპორტის ენდოგენური ბლოკადა.

როსის მიხედვით ათეროსკლეროზი ანთებითი დაავადებაა და მის განვითარებაში და გართულებაში მნიშვნელოვანია ანთებითი რეაქცია, რომელიც მიმდინარეობს როგორც ლოკალურად, ფოლაქში, ასევე სისტემურად. ამასთან მან კვლავ წინა პლანზე დააყენა ინფექციური აგენტების, როგორც ათეროსკლეროზის ეთიო-პათოგენეზის ერთ-ერთი რგოლის, საკითხი.

ინფექციური აგენტების ათეროსკლეროზის პროცესში მონაწილეობა ჯერ კიდევ 1859 წელს ივარაუდა ვირხოვმა. მას შემდეგ 100 წლის განმავლობაში მეცნიერები ცდილობდნენ ათეროსკლეროზთან მრავალი ინფექციური აგენტი დაეკავშირებინათ, როგორიცაა *Salmonela Tiphi*, სტრეპტოკოკი, ციტომეგალოვირუსი, მიკოპლაზმა, ქლამიდია, პელიკობაქტერი და ა.შ. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ არსებობს კავშირი ქრონიკულ დენტალურ ინფექციასა და ათეროსკლეროზს შორის. XX

საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს გამოქვეყნდა მონაცემები, რომ ვირუსები ინფექცია იწვევდა ათეროსკლეროზს წიწილებში (მარეპის დაავადების დროს) (Fabricant C.G., Fabricant J., Litrenta M.M. et al. Viruses induced atherosclerosis. J Exp Med 1978;148:335-340.)

გიდ და ბაქტერიულ ინფექციას შორის ურთიერთკავშირზე ინტერესი გაცხოველდა მას შემდეგ, რაც ეპიდემიური ქლამიდიოზის შემდეგ (სიეტლი (1967), ფინეთი (1978)) აღინიშნა გიდ ავადობის მატება.

როგორც ცნობილია დისლიპიდემიას დიდ მნიშვნელობა აქვს ათეროსკლეროზის განვითარებასა და გამწვავებაში. მრავალი კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევით (Schwenke DC et al. 1989; Tsimikas S et al. 2000; Waddington EI, et al. 2003) დადასტურებულია კავშირი ლიპიდური ჰომეოსტაზის დარღვევასა და ათეროსკლეროზის განვითარებას შორის. აგრეთვე გამოვლენილია კავშირი გიდ განვითარების სხვა რისკ ფაქტორებსა (თამბაქოს მოხმარება, ასაკი, სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი) და ლიპიდური სპეცირის ცვლილებებს შორის. სწორედ ამან განაპირობა ლიპიდური სპეცირის ცვლილებების შესწავლა და მათი კავშირის დადგენა ათეროსკლეროზის გამწვავების მარკერებთან გიდ სხვადასხვა ჯგუფებში.

საკონტროლო ჯგუფთან შედარებით ყველა სხვა ჯგუფში ათეროგენული ლიპიდური სპექტრის მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებულია ზემოთჩამოთვლილ ჯგუფებში ლიპიდური ცვლის დარღვევასთან, რომელიც დამახასიათებელია ათეროსკლეროზისა და მისი ერთ-ერთი კლინიკური გამოვლინების- გიდ-სთვის.

დღეისთვის ავტორთა უმრავლესობა ათეროსკლეროზს განიხილავს, როგორც ანთებას (Ross, 1995, 1999), როგორც ერთ-ასევე მეორე პროცესში მონაწილეობს ფაშარი შემაერთ ქსოვილოვანი სისტემის კომპონენტები: ენდოთელური და გლუკოზნოვანი უჯრედები, ფიბრობლასტები, მონოციტები და მაკროფაგები, ნეიტროფილები, თრომბოციტები და ნაკლები ხარისხით T და B ლიმფოციტები (Титов 1999), კლინიკურად, როგორც ანთების სინდრომი, ასევე ათეროსკლეროზი მიმდინარეობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, პერიოდული რემისიებით. სწორედ ქრონიკულ ანთებასთანაა დაკავშირებული დისლიპოპროტეინებია, რომელიც ასე დამახასიათებელია ათეროსკლეროზისთვის. ქრონიკული ანთების დროს სისხლში კლებულობს ზოგიერთი ფერმენტის აქტიობა (ლეციტინ-ქოლესტერინ აცილ ტრანსფერაზა, პარაოქსონაზა და სხვ.), რომლებიც მონაწილეობენ ქოლესტეროლის ტრანსპორტისა და მის ესთერიფიკაციის პროცესში, ირლვევა დსლქ მოლეკულაში ტრიგლიცერიდებისა და ქოლესტეროლის თანაფარდობა, რღვევა

დსლქ მოლეკულის კონფორმაცია. სწორედ ამიტომ იგი ვეღარ უერთდება ჰეპატოციტის მემბრანაზე არსებულ დსლქ (Apo-B100 რეცეპტორი) რეცეპტორს, ადარ შთაინთქმება მის მიერ და ხდება მისი დაგროვება სისხლში. რაც განაპირობებს მათ დაუანგვას ნეიტროფილების მიერ, დაუანგული ანუ მოდიფიცირებული დსლქ შთანთქმა ხდება მაკროფაგების მიერ, რაც განაპირობებს ქაფიანი უჯრედების წარმოქმნას, რომელიც ათეროსკლეროზული ფოლაქის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

მნიშვნელოვანია ინფექციური აგენტის როლი დისლიპოპროტეინემიის პროცესში, ჩვენს მიერ შესწავლილი ორივე მიკროორგანიზმი იწვევს ქრონიკულ ანთებას და ზემოთგანხილული მექანიზმით - დისლიპოპროტეინემიას, ამასთან მიკროორგანიზმის (როგორც ჰელიკობაქტერის ასევე ქლამიდიის) უჯრედულ კედელში არის ლიპოპლისაქარიდი (ლპს), რომელსაც აქვს უნარი შეუერთდეს ლიპოპროტეინებს, ანუ ლიპოპროტეინები და ქილომიკრონები წარმოადგენენ ბაქტერიული ლპს გამანეიტრალებელ სუბსტრატს. ლპს ლიპოპროტეინთან შეერთების შედეგად იცვლება დსლქ კონფიგურაცია, რის გამოც მას ადარ გააჩნია აფინურობა დსლქ რეცეპტორის მიმართ, შედეგად აღინიშნება დსლქ+ლპს დაგროვება სისხლში, ხოლო ეს სუბსტრატი შთაინთქმება მაკროფაგის მიერ, შემდგომში ქაფიანი უჯრედების წარმოქმნით. სწორედ

ზემოთაღნიშნული მექანიზმებით შეიძლება აიხსნას დსლქ სარწმუნო მომატება I ჯგუფში II-თან შედარებით.

III ჯგუფის (ინფექცია გიდ გარეშე) პაციენტებში IV-სთან (პრაქტიკულად ჯანმრთელი) შედარებით მაღალია სქ, დსლქ, და მსლქ მაჩვენებლები, რაც განპირობებულია III ჯგუფის პაციენტებში ინფექციის არსებობით, რომელიც განაპირობებს ქრონიკული ანთებითი პროცესის განვითარებას. სწორედ ამაზე მეტყველებს დადგებითი კორელაციური კავშირი ანგისხეულების ტიტრსა და დსლქ-ს შორის ($r=0,52$).

ჩვენი მონაცემების მიხედვით და (ჰელიკობაქტერით ინფიცირებული გიდ პაციენტები) ქვეჯგუფში სარწმუნოდ მაღალია სქ მაჩვენებელი Ia (ქლამიდიით ინფიცირებული გიდ პაციენტები) ქვეჯგუფთან შედარებით, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია ჰელიკობაქტერის, როგორც ინფექციური აგენტის, ბუნებით. ცნობილია, რომ HP გრამუარყოფითი ბაქტერიაა, რომელსაც გააჩნია შემდეგი ანტიგენები: უჯრედის კედლის ლიპოპოლოსაქარიდი, სპეციფიური წყალში ხსნადი ცილა, ურეაზა, Cag-A ცილა, Vac-A ციტოტოქსინი. ამათგან მნიშვნელოვანია Cag-A ცილა, რომელიც ზრდის ენდოთელის მიერ ადჰეზიური მოლეკულის ELAM-1-ის ექსპრესიას, რის გამოც უფრო მეტად ხდება კუჭის ლორწოვანი გარსის მოთესვა ამ გამომწვევით. ჰელიკობაქტერის ლორწოვან

გარსზე ადჰეზიის შედეგად ხდება კუჭის ეპითელური უჯრედების მიერ პროტეინკინაზების გაძლიერებული სეპრეცია (ERK, p38, JNK). ეს თავის მხრივ ზრდის ბირთვული ტრანსკრიფციის ფაქტორების ექსპრესიას კუჭის ლორწოვანი გარსის უჯრედებში. სწორედ ეს პროტეინკინაზები მონაწილეობენ გენების ექსპრესიის რეგულაციაში, რომელიც შემდგომ იწვევს პროლიფერაციას, დიფერენციაციას და უჯრედის აპოტოზს, გარდა ამისა ისინი მონაწილეობენ ორგანიზმის მიერ ანთებითი პასუხის ფორმირებაში. ანთებითი პასუხში მონაწილეობს p38 და JNK პროტეინკინაზები, რომლებიც აქტივირდებიან ძირითადად მხოლოდ Cag-A შტამებით ინფიცირებისას, რაც განაპირობებს კიდევ გამოხატული ანთებითი რეაქციის განვითარებას. ძირითადი პროანთებითი ციტოკინია ილ-8 და ნეიტროფილების აქტივაციის ფაქტორი, რომლებიც სინთეზირდებიან ეპითელური უჯრედების მიერ. ამ ციტოკინების განსაკუთრებით მაღალი კონცენტრაცია აღინიშნება სწორედ Cag-A შტამებით ინფიცირებისას. სწორედ ეს ციტოკინები განაპირობებენ მაკროფაგების და ლეიკოციტების ქემოტაქსისს და საწყისია იმ კასკადისა, რომელიც განაპირობებს სხვადასხვა ციტოკინის სეპრეციას. აღსანიშნავია, რომ ჰელიკობაქტერის შტამების 50-60 % -ს გააჩნია Cag-A გენი. ამასთან ამ გენის პროდუქტს გააჩნია ჯვარედინი რეაქტიულობა სისხლძარღვთა კედლის ანტიგენის

მიმართ, რაც განაპირობებს აუტომუნური რეაქციის ჩამოყალიბებას, დიდი რაოდენობით ციტოკინების (ილ-1, ილ-6, ინტერფერონ-ა) პროდუქციას, რომელიც თავის მხრივ მოქმედებს ლიპიდურ ცვლაზე, იწვევს რა ადიპოზური ქსოვილში ლიპოპროტეინ ლიპაზის აქტივაციას, დაიძლები ცხიმოვანი მუავების სინთეზის გაძლიერებას რაც თავის მხრივ პიპერლიპიდემიას იწვევს. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო აღინიშნება როგორც მხოლოდ გიდასევე მხოლოდ ინფექციის ჯგუფებში ლიპიდური სპექტრის პარამეტრების სარმუნოდ მაღალი მაჩვენებლები საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ხოლო გიდ+ინფექციის ჯგუფში ამ ორი მიზეზის ზედდება განაპირობებს დისლიპიდემიის უფრო მეტად გამოხატულ ხარისხს.

ხოლო ქლამიდიური ინფექციის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ქლამიდიური სითბური შოკის ცილა 60, რომელიც ძირითადად გროვდება ათეროსკლეროზულ ფოლაქში და განაპირობებს მაკროფაგების მიერ მატრიცული მეტალოპროტეინაზების გამოყოფას, რაც იწვევს ფოლაქის საბურავის გათხელებას და მის დესტაბილიზაციას. ამასთან ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქლამიდია უშუალოდ იწვევს დსლქ პეროქსიდაციას და

მაკროფაგებთან ურთიერთქმედების შედეგად ქაფიანი უჯრედების წარმოქმნას.

შემდგომ Miller et al და Netea-მ დაადგინეს, რომ ცპ-ით ინფიცირებული მაკროფაგები გამოყოფენ დიდი რაოდენობით ციტოკინებს TNF-ა , ილ1, ილ-6, მაკროფაგების ანთებითი პროტეინი 1 (MCP-1), და ილ 12, ეს უკანასკნელი იწვევს ფოლაქის სტაბილიზაციის შემცირებას.

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ინფიცირებული მაკროფაგებიდან ხდება ილ-10-ის გამოყოფა, რის შედეგადაც ფერხდება მაკროფაგების აპოპტოზი, ეს უკანასკნელი კი ინფექციის პერსისტირებას განაპირობებს. ამრიგად ინფექციური პროცესის შედეგად განვითარებული ანთება იწვევს სისხლში დისლიპიდემიის ათეროგენული ტიპის განვითარებას, და ამგვარად ინფექცია მონაწილეობს ათეროსკლეროზის ეტიპოთოგენეზში, ამასთან ინფექციის შედეგად განვითარებული ანთების მწვავე ფაზის ცილების და ინფექციური აგენტის უშუალო ზემოქმედების შედეგად აღინიშნება ფოლაქის დესტაბილიზაცია და მწვავე კორონარული სინდრომის განვითარება. ამასთან ჰელიკობაქტერიული ინფექციის შედეგად აღინიშნება ლიპიდური საექტრის უფრო მეტად გამოხატული ათეროგენული ცვლილება, ვიდრე ქლამიდიური ინფექციის დროს,

რაც ჩვენი აზრით პელიკობაქტერის Cag A შტამებთანაა დაკავშირებული, რის გამოც ანთებითი რეაქცია უფრო მძაფრად მიმდინარეობს [102].

ბოლო პერიოდის კვლევებში ნათლად ჩანს ანთებითი ცილების მნიშვნელოვანი როლი მწვავე კორონარული სინდრომის ჩამოყალიბებაში. მაგალითად გიდ დროს აღინიშნება CRP და ფიბრინოგენის დონის მომატება სისხლის პლაზმაში, რომელიც კორელაციაშია ათეროსკლეროზის სიმძიმესთან. როგორც აღნიშნავს Davies MJ. et al. (1990) გიდ ისეთი საშიში გართულებები, როგორიცაა თრომბოზი, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი და სხვა, ძირითადად გამოწვეულია ათეროსკლეროზული ფოლაქის დესტაბილიზაციით. აღსანიშნავია რომ ანთებითი ფაქტორების მაღალი ტიტრი ხელს უწყობს ამ პროცესს. როგორც Lendon CL. et al. 1992 მიუთითებს, არასტაბილური ფოლაქები ძირითადად წარმოდგენილია ანთებითი უჯრედებით (მაკროფაგები, ლიმფოციტები, ქაფიანი უჯრედები) და დიდი რაოდენობით ლიპიდებით, რომლებიც დაფარულია თხელი ფიბროზული გარსით. სწორედ CRP წარმოადგენს იმ ბიოლოგიურად აქტიურად ნივთიერებას, რომელიც მონაწილეობს ანთებითი პროცესის მოდულაციაში, ანთების ფოკუსში სისხლის იმუნოკომპეტენტური

უჯრედების მობილიზაციაში, რაც ათეროსკლეროზული ფოლაქის დესტაბილიზაციის წინაპირობაა.

ჩვენი კვლევის შედეგებით ინფიცირებული გიდ პაციენტების ჯგუფში სარწმუნოდ მაღალია ანთების მარკერების კონცენტრაცია დანარჩენ ჯგუფებთან შედარებით, რაც ინფექციის და გიდ ერთდროული არსებობის შედეგია, ამასთან მრავალი ავტორის მონაცემებით როგორც CRP ასევე ფიბრინოგენის მატება გიდ გართულებების მაღალ რისკთანაა დაკავშირებული, აქედან გამომდინარე ქრონიკული ჰელიკობაქტერიული ან ქლამიდიური ინფექციის თანაარსებობა გიდ გართულების მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ *C.Pneumoniae* ნანახია ფოლაქში, სადაც ის ახდენს უშუალო მასტიმულირებელ გავლენას ლოკალურ ანთებით პროცესზე, კერძოდ მის მიერ პროდუცირებული სითბური შოკის პროტეინ-60 განაპირობებს მაკროფაგების მიერ ილ-6 და სხვა ანთებითი ციტოკინების პროდუქციას [11], რაც ანთების მწვავე ფაზის ცილების სინთეზს ზრდის, გარდა ამისა ძლიერდება მაკროფაგების მიერ მატრიცული მეტალოპროტეინაზების სინთეზი [5], შედეგად თხელდება ფოლაქის საფარველი და იზრდება თრომბოზული გართულებების ალბათობა.

ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით აღინიშნება დადებითი კორელაციური კავშირი ლიპიდური სპექტრის მაჩვენებლებსა (სქ,

დდსლქ) და ანთების მარკერებს შორის I და III ჯგუფში (შესაბამისად $r=0,64$, $r=0,72$), რაც, ჩვენი აზრით, ინფექციის უშუალო ზემოქმედებითაა განპირობებული. როგორც ცნობილია ანთების დროს გამოყოფილი ილ-6 და TNF- α განაპირობებენ დვიძლის მიერ ანთების მწვავე ფაზის რეაქტანტების პროდუქციას (ფიბრინოგენი, CRP, შრატის ამილოიდი A, აპოლიპოპროტეინი (a) და სხვ.) ანთების მწვავე ფაზის ცილები უერთდებიან ლიპოპროტეიდების მოლეკულებს და იწვევენ მათი კონფორმაციის შეცვლას და დისფუნქციას. კერძოდ, CRP უერთდება ძდსლქ მოლეკულას, როს შედეგადაც ირლვევა ამ უკანასკნელის კონფორმაცია და აღარ ხდება მისი შთანთქმა ApoE/B-100 ენდოციტოზის გზით, რაც იწვევს სისხლში ძდსლქ და ტრიგლიცერიდების დაგროვებას [119]. Apo(a) უერთდება რა დდსლქ მოლეკულას ლიპოპროტეინ-(a) წარმოქმნით, განაპირობებს იმას, რომ დდსლქ შთანთქმა აღარ ხდება ApoB-100 ენდოციტოზის გზით რაც დდსლქ კონცენტრაციის მომატებას იწვევს სისხლში [83, 124]. ანთების მწვავე ფაზაში დვიძლის მიერ სინთეზირებული მსლქ მოლეკულაში 80%-ში ApoA-1 ჩანაცვლებულია შრატის ამილოიდ A-თი რომელიც თავისი სტრუქტურით ძალიან ჰგავს აპოლიპოპროტეინებს [14]. ეს განაპირობებს მსლქ დისფუნქცია, რადგან ირლვევა ქოლესტეროლის ეთერიფიგაციის პროცესი [156], ამასთან შრატის ამილოიდ A-სთან

ასოცირებული მსლქ შთაინთქმება მაკროფაგის მიერ, რაც
მიუთითებს იმაზე, რომ ინფექციის დროს მსლქ ხდება ათეროგენული
[47].

წვენი მასალის მიხედვით I ჯგუფში აღინიშნება CRP კორელაცია
ფბ-სთან ($r=0,45$) და აგრეთვე სქ ($r=0,3$) და დსლქ-სთან ($r=0,4$). რაც
მიუთითებს იმაზე, რომ გიდ ფონზე მიმდინარე ინფეციის დროს
მნიშვნელოვნად მატულობს როგორც ანთების მარკერების, ასევე
ათეროგენული ლიპიდების კონცენტრაცია. უშუალოდ ანთებითი
რეაქციის დროს პროდუცირებული ციტოკინების ზემოქმედების
შედეგად მატულობს ლიპიდების კონცენტრაცია [175, 7], შესაბამისად
მათი პეროქსიდაცია [106, 168, 22] და მაკროფაგების მიერ სკავენჯერ
რეცეპტორების საშუალებით ენდოციტოზის და შედეგად ქაფიანი
უჯრედების წარმოქმნის პროცესი. ამას ემატება ანთებითი
მარკერების კონცენტრაციის მომატება რაც მნიშვნელოვნად ზრდის
სისხლის კოაგულანტურ თვისებებს და გიდ გართულებების
ალბათობას.

რაც შეეხება ისეთ ანთებით ცილას როგორიცაა ფიბრინოგენი,
რომელიც ათეროსკლეროზის დროს წარმოადგენს თრომბოგენული
გართულებების ერთ-ერთ პათოგენეზურ რგოლს მისი მატება
აღინიშნებოდა, როგორც ინფიცირებულ, ისე არაინფიცირებულ გიდ
პაციენტების ჯგუფში. ფიბრინოგენი Ia და IIIa ქვეჯგუფში

კორელაციაშია ედს-ის მაჩვენებელთან. როგორც ცნობილია ედს-ზე სხვა მრავალ ფაქტორებთან ერთად დიდ ზეგავლენას ახდენს სწორედ ეს ცილა (ვესტერგრენის, ტერელის და ვილდსტრემის ფორმულა).

გარდა ამისა ფიბრინოგენის კონცენტრაცია კორელაციაშია ტბ კონცენტრაციასთან. რისი მიზეზიც ანთების შედეგად განვითარებული სისტემური ცვლილებებია, რომლის დროსაც მატულობს ინტერლეიკინების კონცენტრაცია, რაც თავისთავად განაპირობებს ფიბრინოგენის, როგორც ანთების მწვავე ფაზის ცილის მომატებას. კვლევების შედეგად დადგენილია, რომ მწვავე ანთების შედეგად მატულობს არა მარტო სპეციფიური ცილების (CRP, ფბ) არამედ ტრიგლიცერიდების კონცენტრაციაც, რაც აიხსნება ინტერლეიკინების დგიძლზე ზემოქმედებით [147, 45, 51].

ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ ათეროსკლეროზის განვითარებაში ედს მომატება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაგალითად. Eriksson K., Liestol. et al. (2000) შეისწავლეს ჯანმრთელ პირებში ედს მაჩვენებლები და 16 წლიანი პროსპექტიული გამოკვლევით დაადგინეს, რომ ედს მაღალი დონე ასოცირებულია კარდიოვასკულური სიკვდილობის რისკის მომატებასთან. მათი მონაცემებით მომატებული ედს დაგავშირებული იყო მმი, გიდ და ათეროსკლეროზის გართულებების განვითარებასთან. ჩვენი

აზრით ედს მომატების პათოგენეზურ მექანიზმს წარმოადგენს ათერომატოზული ქსოვილებიდან გამოთავისუფლებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების სხვადასხვა ბიოქიმიური მექანიზმებით განპირობებული ზეგავლენა სისხლის რეოლოგიაზე. ამიტომ ედს მაჩვენებელმა შეიძლება მიგვითითოს არტერიების ათეროსკლეროზულ ფოლაქებში მიმდინარე პათოლოგიური პროცესის გაღრმავებაზე. როგორც ცნობილია მათი დაშლა (Ridker PM. et al., 1998) ააქტივებს კოაგულაციური სისტემას და იმუნური უჯრედებს, რაც თავის მხრივ იწვევს იმუნოგლობულინებისა და ფიბრინოგენის დონის მატებას.

აღსანიშნავია, რომ ინფიცირებული გიდ პაციენტების მკურნალობის შედეგად ლიპიდური სპექტრისა და ანთებითი მარკერების შემცირება ყველაზე მნიშვნელოვნად გამოხატული იყო სტატინებით და ანტიბიოტიკებით კომბინირებული მკურნალობის შედეგად, მაგ. სქ შემცირდა 35%-ით ($P<0,05$), დსლქ 44%-ით ($p<0,001$), ფიბრინოგენმა 22 %-ით ($p<0,001$), CRP-მ 26%-ით ($p<0,01$). უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთჩამოთვლილი პარამეტრების მაჩვენებლების მსგავსი მნიშვნელოვანი კლება არ აღნიშნულა სტატინებით ან ანტიბიოტიკებით მონოთერაპიისას. მხოლოდ ანტიბიოტიკებით მკურნალობის შედეგად სარწმუნოდ შემცირდა სქ და დსლქ დონე, შესაბამისად 23% ($P<0,05$) და 21 %-ით ($P<0,05$).

ანტიბიოტიკებით მკურნალობისას ანთების მარკერებს არ განუცდია სარწმუნო შემცირება. მსგავსი შედეგი აიხსნება სტატინების პლეოტროპული ეფექტით, რომელიც განაპირობებს მის ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას, რის გამოც სქ, დსლქ კლებასთან ერთად რაც დაკავშირებულია მის უშუალო 3-ჰიდროქსი 3-მეთილ გლუტარილკოენზიმ-A რედუქტაზის მაინციბირებელ მოქმედებასთან, კლებულობს ანთების მარკერების კონცენტრაციაც. რაც შეეხება ანტიბიოტიკებით მკურნალობის შედეგად მხოლოდ სქ და დსლქ სარწმუნო შემცირებას იგი დაკავშირებული უნდა იყოს ანტიბიოტიკებით ინფექციური აგენტის ერადიკაციასთან, რომლის შემდეგაც სისხლში თანდათან მცირდება ინფექციური აგენტის ლპს კონცენტრაცია, რაც განაპირობებს სქ და დსლქ კლირენსის გაზრდას და შესაბამისად მათი კონცენტრაციის შემცირებას სისხლში. მკურნალობის დროს საწყის ჯგუფში აღინიშნებოდა დადებითი კორელაციური კავშირი სქ-ს და მსლქ-ს ($r=0,84$) და უარყოფითი კორელაციური კავშირი სქ-ს და მსლქ-ს შორის ($r=-0,57$). მკურნალობის შემდგომ A (სტატინები) აღინიშნა სქ/დსლქ კორელაციის ($r=0,35$) შემცირება და სქ/მსლქ მაღალი დადებითი კორელაციური კავშირის ($r=0,59$) წარმოშობა, ხოლო C (სტატინები+ერადიკაცია) ჯგუფში აღინიშნა სქ/დსლქ კორელაციის გაწყვეტა ($r=0,12$) და სქ/მსლქ დადებითი კორელაციის წარმოშობა

($r=0,63$). რაც დაკავშირებულია ატორვასტატინის ეფექტთან, რის შედეგადაც იზრდება მსლქ წილი საერთო ქოლესტეროლის რაოდენობაში, ამასთან მნიშვნელოვანია ერადიკაციული თერაპიის როლი, რომელმაც გამოიწვია კორელაციის გაწყვეტა სქ და დსლქ შორის.

დასპეციალური დანართები:

1. გიდ და ინფექციის (*Helicobacter Pylori* და *Chlamydia Pneumoniae*) ერთდროული არსებობის დროს აღინიშნება ათეროგენული ლიპიდების და ანთების მარკერების უფრო მაღალი მაჩვენებლები, ვიდრე ინფექციის გარეშე მიმდინარე მიმდინარეობის დროს.
2. ათეროგენული ლიპიდების კონცენტრაცია მნიშვნელოვნად მაღალია ქლამიდიური და ჰელიკობაქტერიული ინფექციის დროს გიდ არ მქონე პაციენტებში, პრაქტიკულად ჯანმრთელი პირებისგან განსხვავებით, ამასთან *Helicobacter Pylori* და *Chlamydia Pneumoniae* ინფიცირებული პაციენტებში აღინიშნება დადებითი კორელაციური კავშირი ანტისეულებისა და ლიპიდური სპექტრის მაჩვენებლებს შორის.
3. ჰელიკობაქტერიული ინფექცია გამოირჩევა საერთო ქოლესტერინის უფრო მაღალი მაჩვენებლებით ვიდრე ქლამიდიური ინფექცია, როგორც გიდ ასევე ამ დაავადების არ მქონე პაციენტებში.
4. *Helicobacter Pylori* და *Chlamydia Pneumoniae* ინფიცირებული გიდ მქონე პაციენტების სტატინებით თერაპია იწვევს ათეროგენული ლიპოპროტეინების და ანთების მარკერების კონცენტრაციის შემცირებას სისხლში.
